


ფელიწალი
პირველი



9 ივნისი
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოდის ხუთზაბათობით

ხელის მოწამარ: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასლების წემოდ. №18 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაზეთსა და გაზეთსა და... 6 მან. — თითო ნომერი..... — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახელებს გამოცემულ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. აწყო აღმოსავლეთის საქმისა. — **II** საქართველოს მატანე — **III.** ომის ამბები. — **IV.** საზოლიტიკო მიმოხილვა. — **V.** ეტნოგრაფიული განხილვა, (გარემოება) დ. ჩუბინოვისა. — **VI.** ოსმალეთის საქართველო. — **VII.** ქალაქის სცენებისაგან.

აწყო აღმოსავლეთის საქმისა

მას აქვთ, რაც რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომი ახტედა, ევროპის ზოლიტიკა თითქო შედგა თითქო დიპლომატიის ხმაურობა ზარბაზნების გრიანს ვერ აუვიდა და შესწვდა. დიპლომატიის მოღვაწეობა ხომ თავად ისეც დიდი საიდუმლოა და ლიტონის ადამიანისათვის მიუწდომელი, და ომის ატეხის შემდეგ კი რაღა კითხვა უნდოდა, რომ სრულებით ფარდა ჩამოეფარებოდა გარეშე კაცის თვალთა წინაშე.

მაგრამ თუ დიპლომატიის იღუმალი აზრი არ ვიცით; თუ არ ვიცით ნამდვილად რა გზას დაადგება ერთი თუ მეორე სახელმწიფო მოძავალ ზოლიტიკაში, ის კი ვიცით—რა ნიადგაზედ იხეირებს ეს ზოლიტიკა, რა საქმეების მიხედვით გაიკვალავს გზას და რა მოვლენა ამოქმედებს მის მიდრეკილებას. თუმცა ევროპის ქურნალ-გაზეთობა ენა-გრძელია, მაგრამ მის ჭორიკანობაში ათი რომ ტყუილი იყოს ერთი ხომ მართალი იქნება. მას შესაძლოა ვცნოთ რა მოხდა და რა თქმულა აღმოსავლეთის საქმის შესახებ ამ თითქმის ორის თვის განმავლობაში.

ომის დაწყებთვე რუსეთის საქმე ძალიან კარგად წავიდა, მეტადრე მცირე აზიაში, სადაც რუსის ჯარი კარგა დიდ მანძილზედ არის წინ წამდგარი და ცოტადა უკლია ეარსის აღებას და აზრუმაძე მისვლას. თუმცა დუნაის მხედრობას ჯერ არავითარი შესანიშნავი

ბრძოლა არა ჰქონია ოსმალეთთან, მაგრამ იქაც კი დიდი საქმე მოუხდათ რუსებსა: ოსმალეთის ორი ძლიერი ქაუშინანი ხომალდი აფეთქეს და დაღუპეს. რუსეთს მიუღვა რუმინია, რომელმაც სრული თავისუფლება და ოსმალეთისაგან უმოკიდებულება გამოაცხადა. გარდა ამისა ჩერნოგორიამაც ხელმეორედ აუტყნა ოსმალეთსა ომი. თვითონ ოსმალეთის შინაობაშიაც, მაგალითებრ სტამბოლში, დიდი უკმაყოფილება წარმოსდგა: ოსმალეთის ქვეშევრდომნი მცირე აზიაში რამდენსამე ალაგას სიხარულით გადმოეცნენ რუსებსა; ოსმალეთის ზარლამენტისა და მთავრობის შორის უთანხმოება და თითქმის მტრობაც აღმოჩნდა. აქ შესანიშნავი მეტადრე ის არის, რომ ზარლამენტის წევრნი ქრისტიანნი თუ მაჰმადიანნი ერთხანად და ერთგვარს ჩვილს უცხადებდნენ და უცხადებენ კიდევ მთავრობას და ერთგვარს ცვლილებებს თხოულობდნენ მთავრობისაგან. ეს გარეშეობა შესანიშნავია მეთქი, რადგანაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომთა ტკივილი ეველასი ერთი და იგივეა, სარწმუნოება, გვარტომობა აქ ერთობას არ უშლის.

ერთის სიტყვით, ოსმალეთის საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა და მიდის კიდევ, ასე რომ ოსმალეთის სახელმწიფოს დარღვევა არავისთვის საეჭვო აღარ არის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო არ მიეშველება. ვისი იმედი ჰქონდა და აქვს ოსმალეთს? რასაკვირველია, ეველასე უწინარესს ინგლისისა, რომელიც ეს ორი წელიწადია სულ ოსმალეთის დაურღვევლობასა და ხელუხლებლობას ჰქადაგებს. მაგრამ ეს ორი თვეა რაც ოსმალეთი ებრძვის რუსეთსა და გაჭირებაშია ჩავარდნილი და ინგლისს კი მისთვის ჯერ არავითარი შემწეობა არ მიუცია. ცხადს შემწეობას ვამბობთ თორემ ფულით, იარაღით და სხვა ამ გვარებით კი ინგლისი ოსმალეთს ძალიან ეწევა.

ჩვენ გახვითი ადრევე იყო მოხსენებული თუ რისგამო სტკივა გული ინგლისს ოსმალეთისათვის ე. ი. რად უნდა ინგლისს ოსმალეთის სახელმწიფოს დაცვა. მოხსენებული იყო, რომ ამის მიხედვით ინგლისის ეკონომიური განწყობილება, რომლის ძალითაც შინაური წარმოება და მოსავალი არ ეკმარება აუარებელის მშობრის ხალხის განადგომად და ინგლისი იძულებულია გარეშე ქვეყნებში მოძებნოს როგორც სამუშაო მასალა თავის ქარხნებისათვის, აგრეთვე იმისთანა ფართო ადგილები, სადაც მეტი მჭამელების გარდასახლება შეიძლება. ინგლისი, როგორც სახელმწიფო, მართალია მდიდარია, მაგრამ მის სიმდიდრეს ხალხის საშინელი სიღარიბე და სიღატაკეც თანსდევს. ხალხის აუარებელს უმრავლესობას, როგორც მოგესხებათ, არავითარი ქონება და სარჩო არა აქვს, და მთელი მამულიანობა მხოლოდ რამდენიმე არისტოკრატის ხელშია ჩავარდნილია.

ინგლისი უყურებდა ოსმალეთს, როგორც შესამუშავებელის მასალის მიმცემს და ეშინოდა ვაი თუ სხვა განათლებულმა და გამჭრიახმა სახელმწიფომ ხელი ჩაავლას ოსმალეთსა და ეს მასალა თვითონ მოინძვროს და ხელიდგან მე გამომკლიჯოსო. გარდა ამისა მოხსენებული იყო რომ ინგლისს ეშინიან სტამბოლის დამჭერმა ინდოეთის გზა არ შემიკრასო, რომელიც სუეცის არხზე გადაის. ეს მეორე ტკივილი უფრო საგრძნობელია ინგლისისათვის ვიდრე პირველი, ინგლისი, როგორც მოგესხებათ, ინდოეთს ჰსწოვს და ამით აძლავს თავის ხალხს, და მისი გზა რომ სხვას დაუთმოს, ხომ დაიღუპა ინგლისის ეკონომიური უფლება მთელ დედა-მიწაზე.

აი ის კერძო სარგებლობა, რომელსაც წამ და უწუპ აღიარებებს ინგლისი და რომელიც აწარმოებს მის ზოლიტიკას. მართალია ოსმალეთის სლავიანები დიდ გაჭირებაში არიანო, — ამბობს ინგლისი, — მაგრამ ვაი თუ მათა განთავისუფლებამ ჩემს ხალხსა საზრდოების წუარო წართვასო. ამ რიგად, ძარღვი ინგლისის ზოლიტიკისა მხოლოდ ეკონომიური საჭიროებაა. ჩაერევა ინგლისი ომში თუ არ ჩაერევა, ორსავე შემთხვევაში მხოლოდ ეს ერთი მიზეზი იქმნება. ზრუდონს რომ ვკითხვით არამც თუ მარტო ინგლისს, არამედ ეველა სხვა ქვეყანასაც მხოლოდ ეს მიზეზი ამოქმედებს. აი რას ამბობს ზრუდონი: „ხარბს გაუძამდრობას უჭირავს ხელში უოველი საზოგადოება და ვიდრე ეკონომიური განწყობილება სამართლიანს უფლებასზედ არ დამეარდება, ომია აუცილებელია. დიან, მე ვამბობ რომ ომი, რა გვარის და რა სახისაც უნდა იყოს, აუცილებელია: ომი ცარცვისათვის და სხვა ქვეყნის დაჭერობისათვის, ომია სასლვართა გაწვივისათვის, ომია ახალის სავაჭროს გზების

ადმოხენისათვის, ომია დედა-აზრისათვის, ომია გვარტომობისათვის, ომია მექვიდრეობისათვის, ომია გავლენისათვის და თანასწორობისათვის, ომია თავისუფლებისათვის, ომია ურთიერთშორისი, ომია სოციალური. ეველა ამ შემთხვევაში ომიანობის დედა-მიზეზი ერთი და იგივეა, რომლისათვის ხალხნი და მთავრობანი ეველასზედ ნაკლებ ზრუნავენ. ეს მიზეზი არის საცხოვრებელის უქონლობა: ღარიბისათვის — არსებითის საჭიროების უქონლობა, მდიდრისათვის — შემოსავლის უქონლობა, სახელმწიფოსათვის — განავალის გარდამეტება შემოსავალზედ“. თუ ამ დედა-ძარღვს არ შეეხება ეხლანდელი ომიანობა, ინგლისი რასაკვირველია, ხელსაც არ გაინძრევს.

მართლა და ინგლისს რომ უბედურთათვის სტკივოდეს გული, დიდი ხანია ჯერ თავისებს უშევიდა. აი, მაგალითებრ, ირლანდია, რომლის უბედურება განთქმულია და რომელიც ინგლისმა სრულებით გააოხრა და განცარცვა. ამასწინედ ირლანდიელებმა ზარლამენტში თხოვნა შეიტანეს თვით მმართველობა მოგვეცითო და საკუთარი ზარლამენტი გაგვიჩინეთო. ზარლამენტმა უკუაგდო ეს თხოვნა. ინგლისი თავისიანებისათვის თუ ესეა, სლავიანებისათვის ხომ—საიღამ სადო წმინდაო საბაო. ამის გამოისობით, მართალია თუ ტუილი რომ ამქამად გავრცელებულია ლაზარაკი მშვიდობიანობაზე ინგლისისა და რუსეთის შორის, მაინც ამაში შეუძლებელი არა არის რა. თუ ეს ლაზარაკი მართალია, ჰვავს ინგლისი არავითარ ვნებას არ მოეღის თავის სარგებლობისათვის, და თუ ესეა ოსმალეთმა თუნდ თავში ქვა იკრას, ინგლისი ამისათვის თავს არ იტკენს.

ამბობენ, მშვიდობიანობაზე მოლაზარაკება გერმანიის თაოხნობით გამართულიაო. ეს რაღა არის? გერმანიას რაღა ლაზარაკებს? აქ წინაპირველად ის უნდა შევნიშნოთ, რომ ვიდრე საფრანგეთში ცვლილება არ მოხდა, გერმანიის თითქმის განუშემებული იყო აღმოსავლეთის საქმის შესახებ. მაგრამ რაკი მაკმაგონმა თავისი თავხედობა მოახდინა, ბისმარკს მოსვენება წაერთო და მამინეგ აენქარა ბერლინისაკენ. აი ამის შემდეგ დაიწეეს ახირებული ლაზარაკი მშვიდობიანობაზე, მეტადრე როდესაც გვარდა ხმა ინგლისისა, ავსტრიისა და საფრანგეთის შორის ვითომ ზავი რამ იმართებაო. თუმცა აღმოსავლეთის საქმეში გერმანიასაც აქვს თავისი საჭიროება, როგორც ადრევე იყო მოხსენებული ჩვენ გახვითი, მაგრამ აქამდისინ განუშემებული იყო, რადგანაც იცოდა, რომ ავსტრია თავისის ზურგით იფარავს მის ინტერესებს. ჯერ ავსტრიის ჩაელაზვის დრო არ მოსულაო, — ფიქრობდა გერმანიისა, და ამიტომ მანამდისინ ოსმალეთის გაეოფაში მე და ავსტრია ერთსა და იმავე

გზას უნდა ვადგეთო. ხოლო რა წამსაც მაკ-მაგონმა მოახდინა სამინისტროს ცვლილება ბისმარკი, მაშინვე ფეხზედ წამოდგა იმიტომ რომ კარგად იცოდა, რომ მონარხიელთა დასის გამარჯვება საფრანგეთში უომრად ვერ გადარჩება და თუ საფრანგეთის ახალი მთავრობა ვისმეს ომს აუტყენს, უთუოდ გერმანიას აუტყენსო, რადგანაც აქ უფრო ადვილია მიზეზის ზოვნა: გერმანიის ჯავრი უნდა ამოვიყაროთო და ელზასიელები უნდა გავანთავისუფლოთო, იტყვიან მონარხიელები. ეს ეველა კარგი. გერმანია, რასაკვირველია არ მოერიდება საფრანგეთის ომს, მაგრამ ვაი თუ საფრანგეთმა ავსტრია ჩაითრიოსო,— ავსტრია ხომ ეველას ადვილად აჰყვებაო და მერე რაღა უყო ამ წუქულ საქმეს აღმოსავლეთისასაო, ფიქრობს გერმანიამაშ ჯერ აღმოსავლეთის საქმე უნდა როგორმე ჩაუქროფო, ავსტრიასაც ჰირი ჩაუმტკებარუნო, ინგლისსაც ჰირში კაი ნაჭერი ჩაუდრო და მერე ხელებს დავიკლავებ, გამოვიწვევ საფრანგეთს და ვეტყვიო, აბა ესელა გამობანდი, ვნახოთ ვინ აჯობებსო:

ასე წავა საქმე თუ ისე, ვინ იცის. აქ ჩვენ მხოლოდ შესანიშნავი ვითარება საქმისა მოგვეაწესო. ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ,—ზრუდონისა არ იყოს,—ზოლიტიკამ რაც უნდა გადმოატრიად-გადაატრიადლოს თავისის მანქანების ჩარხები მაინც თავი და ბოლო ზემოხსენებული ეკონომიური მიზეზისა აღმოსავლეთის საქმის დედა-მარღვი.

ავსტრი-ვენგრისზე ლაპარაკი აქ საჭირო აღარ არის, რადგანაც მის ზოლიტიკაზე საკმაოდ იყო ნათქვამი (იხ. „ივერიის“ მეცხრე და მეთათე ნომერი).

რაც შეეხება თვითონ ოსმალეთს, მის ბედზედაც ბევრი არა ითქმის რა. მისი საზოლიტიკო უძღურება ცხადია და თუ მართლა სხვა სახელმწიფონი არ უშველიან, ოსმალეთი ევროპისის ზურგიდამ ისე აიგუება, როგორც შარშანდელი თოვლი. ვის ერგება ოსმალეთის სახელმწიფონის შემკვიდრება? ძნელი საფიქრებელია, რომ ოსმალეთის შემკვიდრედ თვითონ მისი ქვეყნდრომი ხალხი დარჩეს, ე. ი. ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ხალხი თვითონვე განდეს თავის თავის ჰატრონად. ჯერ-ჯერობით ამ ქვეყნიერობის საქმე ძალაზედ არის მივარდნილი, და ოსმალეთის ქვეყნდრომთა ვინ მისცათ იმოდენა საზოლიტიკო ძალა, რომ გარშემო ძლიერ სახელმწიფოებს გაუძლონ? მართალია საბერძნეთი განთავისუფლდა, მაგრამ ნუ დავივიწებთ, რომ საბერძნეთი უზირატესთა სახელმწიფოთა მფარველობით განთავისუფლდა და მათვე მფარველობის ქვეშ სუფევს. მფარველობა კიდევ, როგორც მოგეხსენებათ, ძნელი საქმეა, მას არავითარი სიმკვიდრე და სიმტკიცე არა აქვს: მფარველობა დღეს უცინის მის კალთის ქვეშ შეფარებულს, ხვალ ემუქრება.

ადვილი საფიქრებელია, რომ სხვა და სხვა სახელმწიფონი დაიყოფენ ოსმალეთის სამფლობელოს, როგორც ზოლში იყო დაყოფილი.

ინგლისი ამბობს, რომ როდესაც რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომი შესწდებო და მშვიდობიანობაზე ჩამოვარდება ლაპარაკიო, მაშინ ამ ლაპარაკში ეველა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობაო. ჰირველ-დახედვით ეს განაცხადია: რუსეთი ღვრის სისხლს, ხარჯავს ფულს, ეოველს ვაი-ვაგლახს გულს უშვერს და როდესაც გაიმარჯვებს უცხო სახელმწიფონი, რომელთაც იქნება ხელიც არ გაუნძრევიათ, მოვლენ და მშვიდობიანობის ჰირობებს დაუწერენ. მაგრამ საქმეის არის, რომ აღმოსავლეთის საქმე მთელი ევროპისის საქმეა და ოსმალეთის შემკვიდრედ ერთი რომელიმე სახელმწიფო ვერ განდება. ეს ეველა სახელმწიფომ კარგად იცის.

საქართველოს მატიაზე

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი: „ერთი გურული ქალი არა უმეტეს 15 წლისა ან....ღ....ძისა იმერეთში თ. ნესტორ ერისთავთან მდგარა მოსამსახურედ. ამისი აღლო აულია ტუილისში ერთს დედა-კაცს ნატ....კ...ნა, რომელსაც ქალის უმანკობა და სილამაზე თავის ცხოვრების წყაროდ გაუხდია. ეს დედა-კაცი თვითონ წასულა იმერეთს, უცდენია ის გურული ქალი, ჰირობა მიუცია ოდონდ ქალაქში წამოდიო და ხუთს თუმანს ჯამაგირს მოგცემო, ოთხს ხელს ტანისამოსს შეგიკერავ წელიწადშიო. გიპატრონებ და გავათხოვებო. გურული ქალი მოტეუებულია და წამოჰყოლია ქალაქს.

„ქალაქში ჩამოყვანის შემდეგ, ეს დაპირება გაქარწელებულია, საწეალს გურულს ქალს უგვრძნია, რომ მის თავზედ კარგი საქმე არ მოდის, მაგრამ რა ექმნა. ზნეობის მდევნელს დედა-კაცს დაუკეტნია საწეალი ოთახში, რომელიც, სარდაფიც რომ ვიანგარიშოთ, მესამე სართულშია (ეტაქაშია) და ეარაული დაუეენებია. როცა ეს დედა-კაცი წავიდოდა თურმე სადმე იმ გურულის ქალის ოთახს გარედამ კლიტეს ადებდა. ამ ყოფით გაუტარებია საწეალს გურულს ქალს ერთი კვირა.

„ნ ამ თვეს, საღამოს მეცხრე საათზედ ხელოსანს დედა-კაცს ორი თათარი მოუყვანია, დაუწეია ვაჭრობა და ბოლოს დაჰპირებია საწეალის გურულის ქალის ნამუსის გაყიდვა. უპატრონოს, ილაჯ გაწეუეტილს ქალსა შეუტევიო ეს თუ არა, ნამუსით სიკვდილი უმჯობებია უნამუსო ცხოვრებას, გაულია მესამე სართულიდამ ფანჯარა. და ურარაოდ,

შიშველი გარდმოვარდნილა ძირს. შეჰსწევნია ღმერთი რაღაცას მოსდებია და იმას დაუჭერია, თორემ სულ დაიმსხვრეოდა საწვალა. ძირს დაცემისვე უმაღ გულ გადაფითრებული წარმოვარდნილა და იქვე ავეტიქ ივანეს ძეს ტერ-აბრამოვის სახლში მივარდნილა და უხვეწნია: „შიშველეთ, შეიდიან!... ვინა ხართ ქრისტიანი, მეც მონათლული ვარ, ნუ დამკარგავთ, დამძალეთ სადმე თქვენის ცოლშვილის სადღეგძელთ.“

ამ სიტყვების გამგონს ავეტიქ ივანეს ძეს ტერაბრამოვს გული დასწვია და შემწეობა მიუცია მით, რომ მაშინვე ზოლიცაში გამოუცხადებია და თვით ქალიც იქ მიუყვანია. უნდროს ზოლიცმეისტერს უფ. ალიხანოვს გულმტკივნეული მონაწილეობა მიუღია და ეოველი საჭირო ცნობა ამ სახარელის დანაშაულობისა შეუკრებია და ტფილისის უფროსის ზოლიცმეისტრის მერკლინგისათვის წარუდგენია, რომელსაც სამსჯავრო მოხელეთათვის გარდაუცია.“

ექ. ხელაძე.

— 3-ს მაისს კაი დიდი სეტყვა იყო ქალაქში. როგორც ეტეობა ჩრდილო-დასავლეთიდან წამოვიდა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიიმართა. მაგრამ ქალაქიდან შორს არ წასულა. 4-ს მაისს ხელმეორედ მოვიდა სეტყვა ორჯელ და საშინელი სხვილი სეტყვაც იყო. თითქმის სახლი არ გადარჩა ქალაქში რომ ფანჯრის მინები არ დაემტვრია. ამბობენ ხუთი ათასის თუმნის მინა მაინც გატეხილი იქნება სეტყვისაგანაო და ვინ იცის მართალია თუ არა. მეორედ სეტყვა კოჯრის მხრიდან წამოვიდა და საცა მოხვედრია ეანები და ხეხილები სულ ძირს დაუცია. ქალაქის გარშემო სოფლები დაუსეტყვავს, დილომისათვის უხარალებია, კლდანიისათვის კარგა დაუკრავს და აჭკალისთვის ცოტა. თვით ქალაქის ბაღები, და კოჯრიდან მოყოლებული ეარაბულახამდე და ხაშხამდე, რაც მოხვედრია გაუფუჭებია, ზოგან ამბობენ ეველანფერი განანდგურაო.

— უფ. ალალო თათოყვს დაუწერია კომედია სახელად: „ფული ვიტირო თუ ცოლიო“, მეორე კომედიაც დაუწერია უფ. ვასილს აბაშიძეს სახელად „ცოლი თუ გინდა ეს არის“. ეს ორივე კომედია, ამბობენ, ამ ახლო ხანში დაიბეჭდებაო

— თელავიდან კახეთის შესახებ მშვიდობიანობის ამბავი მოვიდა. ამბობენ, ის ალიანქოთი, რომელიც კახელებს შესდგომიათ ცხვრისა ლეკთაგან მოტაცებისაგანაო, ალიანქოთად არ ღირებულა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ როცა ცხვარი მოუტაცნიათ, თ. რუსიშვილს მიღდაში შეუერთია სამოცი კაცი, მდევრათ გამოჰსდგომია ცხვრის წამყვანთ დიდოყვებს, და მიღდის ცხვარი უკანვე დაუქრევიანებიაო.

ამის თაობაზედ ქისტაურიდან აი რასა გვწერენ: „მაისის განსულს უცებ ხმა დავარდა თელავში და სოფლებში, რომ ლეკის ჯარმა ცხვრის ფარები დაიტაცაო, შემცხვარებინც დახოცაო და ეხლა ეადორზედ დგასო. უცებ შეიქმნა ალიანქოთი და მხადება განახიხნავად. თელაველებმა დუქნები დაკეტეს, ხალხი გაღმა მხრიდან გამოღმა გამოვიდა და თვითონ თელაველი კი ახმეტას და ქისტაურს გაიხიხნენ. ბევრი ტყეში გაიხიხნა. ბოლოს გამოვიდა რომ ერთი რაღაც დიდოს სოფელი არეულა და ცხვარი მოუტაცნია. რაზედ დაფთხა ხალხი? იმასე დაფთხა, რომ ხანჯალი აღარავისა აქვს და თოფი, რადგანაც აღკრძალული იყო იარაღის ტარება“.

— ქალაქის ჯიბის ოსტატები დიდს გამბედაობას იჩენენ. ამბობენ, სულისწმინდაობის დღეს ფრანგების ეკკლესიაში ერთს ქალს ჯიბიდან ოცდა ოთხი მანეთი ამოაცალესო.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

26 მაისიდან მოყოლებული რუსის ჯარს რამდენჯერმე დაუთვალიერებია ეარსი. ოცდა რვას თვით მის იმჟერატორების უმაღლესობას დაუთვალიერებია ეარსის სიმაგრენი. ამ დღეების განმავლობაში ჩვენის მხრით მხოლოდ ხუთი კაცი დაჭრილი და არც ერთი არ არის მკვდარი.

28 მაისს ღენერალ ტერგუკასოვს ქალაქი აღაშვერტი დაუჭერია, და მის მოწინავე ჯარს-ზეიდიკიანი. ოსმალეთის ჯარი ზივინის ახლოს გროვდება, საღანლულის მთის იქით.

— 3 თიბათვეს, ათი ბატალიონი ორი ბატარეით ეარსიდან გამოსულა და ღენერალ გეიძანის ჯარს დახვედრია. მეტაკების შემდეგ ისევე ეარსში გაქცეულან. ოსმალეთის მხრით ორასამდე მოკლულა. ჩვენის მხრით ცოტად დაუჭრიათ ზრანკორშიკი აეტოვსკი. გარდა ამისა თერთმეტი სალდათი მოუკლავთ და ას ექვსი დაუჭრიათ.

— სამებას, დაბურულ ტყეში რუსების ბათალიონს ოსმალს ჯარი დასცემია, მაგრამ რუსებს უკანვე გაუგლიათ ოსმალეები, რომელთაც ათი კაცი მოუკლეს და თორმეტი თოფი წაართვეს. ჩვენის მხრით მოკლეს: მტაბს-კაპიტანი ზრეკვალსკი და ექვსი სალდათი; დასჭრეს: ზარუხიკი ლემენი-მაკედონი და თერთმეტი სალდათი.

ამავე დღეს საღამოს 7 საათზე ოსმალეები იმავეადგილს მიუახლოვდნენ, სამჯერ დახალეს თოფები და უკან გაბრუნდნენ. დამის ორ საათზე ოსმალეები კიდევ მივიდნენ და მთელი ერთი საათი თოფის სროლა ატეხეს. ჩვენის მხრით ერთი მოკლულია და ორი დაჭრილი.

– ოსმალეთის ოსმალელებს ადღერთან ერთი ატრიადი ვადმოუხსნამთ, რომლის უმთავრესი ნაწილი ახმტორში დგას. ამ ატრიადს სოხილამ გამოეზავნილ რუსის ჯართან ბრძოლა მოსვლია. ოსმალეების მხრით რვა კაცი მოკლულა და ბევრი დაჭრილა, ჩვენის მხრით მილიციის პრანორშიკი ჰმიზოვი დაუჭრიათ და ხუთი ცხენი მოუკლავთ. მდ. მზიმთაზე ოსმალს ჯარი ათასამდგა.

1 თიბათვეს დუნაის იქითა (ე. ი. ოსმალეთის) ნაპირას რუსებს ბატარეის აშენება დაუსრულებიათ და წარბაზნები დაუდგამთ. ამ რიგად რუსებს ოსმალეთის ნაპირზედ ვადუდგამთ კიდევ ფენი.

– 4 თიბათვეს დუნაის მხედრობის მთავარ სარდალსა ჰეტერბურლს ტელეგრამა ვაუგზავნია, რომელშიაც შემდეგია მოხსენებული: „ოსმალნი ნიკოპოლთან და ოლტენიტან სიმაგრეებს აშენებენ. ჩვენსა და იმათ ჯარს სროლა აქვთ. ოლტენიტანში ერთი ჩვენგანი დაიჭრა, დუნაის მდინარე, თუთმცა მძიმე-მძიმედ, მაგრამ უოველდღე კლებულობს“

– 3 თიბათვეს ოსმალეებს უომრად მიუტანიათ სურსათი ნიკშიში. იმავე დღეს 15,000 ოსმალს და ჩერნოვორიელების შორის ომი ვამართულა. ჩერნოვორიელებს ოსმალეები დაუძარცხებიათ. მეორე დღეს ოსმალეები ოთხჯერ დასცემიან ჩერნოვორიელებს, მაგრამ ვერა ვაუწვიათ რა და უკანვე ვაფანტულან. ოსმალეთის მხრით ორი ათასი კაცი დახოცილა და ჩერნოვორიელთა შორის კი სულ 115 კაცია მოკლული და დაჭრილი.

საპოლიტიკო მიმოხილვა

საფრანგეთი. – ვერ წარმოიდგენთ რა საშინლად უდიერად ეკიდება ახალი მთავრობა კურნალ-გაზეთებს. დღე არ ვავა ისე რომ ან ერთი და ან მეორე გაზეთი, რომელიც კი ცოტა ოდენად მთავრობის აზრისა არ არის, სასამართლოის წინაშე არ იეოს წამდგარი, ვითარცა ბრალდებული დასასჯელად. ვარდა ამისა შინაგან საქმეთა მინისტრმა ფურტუმ ეველა ჰრეფუკტებს ცირკულიარი ვაუგზავნა, რომლის ძალითაც სასტიკი თვალყური უნდა ადევნონ ცალკე ნომრებით გაზეთების გამედიველებს. უნდა მოგახსენოთ, რომ 1875 წ. კანონი დაიდგა, რომლის ძალით გაზეთის ცალკე ნომრებით ვაეიდვას ალკრძალვა შეუძლებელია თუ არ სამსაჯულოს განხიზნებითა. ფურტუმ მოძებნა მეორე კანონი, რომელიც 1849 წლიდამ არის დარჩენილი და რომლის ძალითაც გაზეთის ცალკე ნომრებით გამედიველს მთავრობისაგან ცალკე ნება-რთვა უნდა ჰქონდეს

მიცემული ამა ვაჭრობისათვის, ფურტუს უფიქრია— თუ უფლება არა მაქვს რედაქციას აუკრძალო ცალკე ნომრების ვაეიდვა, ეს ნება-რთვა ხომ ჩემ სელთა არისო, და უბძანებია ჰრეფუკტებისათვის, რომ მარტო ამისთანა გაზეთის ვასეიდვის ნება მიეცითო, რომელნიც მთავრობის მომხრენი არიანო და რესპუბლიკის მტერნიო.

როდესაც რესპუბლიკის მომხრე ვაზეთები ამ უბედურებაში არიან ჩავარდნილნი, მონარხიელთა დასის ვაზეთები კი დიდ ნეტარებაში არიან და სრულიად თავისუფლად აცხადებენ რესპუბლიკის მტრობას. ერთი ვაზეთი, მაგალითებრ, ამბობს, რომ რაც უნდა მოხდეს მაკ-მაგონი უფლებას სელიდგან არ ვაუშვებსო. რა აზრისაც უნდა იეოს ჰარლამენტი, კმაყოფილებას ვამოუცხადებს მაკ-მაგონს თუ უკმაყოფილებას, მარშალი მაინც ჰრევიდენტობას არ დაჰსთმობსო. ეს ხომ ცხადი წინააღმდეგობაა აწმეო მმართველობისა, და ამაზედ მეტად კანონის დარღვევა შეიძლებადა? მაგრამ ეხლანდელი მთავრობა რას დასდევს! ტუვილად კი არ დაირქვა სახელად „ბრძოლის მთავრობაო... მართლა, როგორც იხმის, მაკ-მაგონი ცხადს ბრძოლას უპირებს საფრანგეთს. ბონაპარტიელები დიდ ფაცა-ფუცში არიან და აქა იქა მომხრეებს ეძებენ. ამბობენ რომ, ნაპოლეონის III შვილისათვის მიუწერიათ— მოდიო და საფრანგეთის საქმეში ჰირადი მონაწილეობა მიიღეო. ვარდა ამისა, ბონაპარტიელები ცდილობენ ჰაპის წინაშე, აგები როგორმე უწმინდესმა მამამ ვრაფი შამბორი დაიეოლიოს და ტახტზედ უარი ათქმევიოს შამბორი, როგორც მოგეხსენებათ ძალიან ვულ ნაწვენია, რადგანაც უფლება ბონაპარტიელებმა ჩაივდეს ხელში და არა ლეგიტიმისტებმა.

ნემენცური ვაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთის მთავრობა ძალ-მომრეობითს ცვლილებას მოახდენსო და ნაპოლეონ IV-ს ვამეფებსო. საფრანგეთის რესპუბლიკელები კი ძალიან ვულ-მშვიდად არიან და ამტკიცებენ, რომ მონარხიელები მეტად უძღურნი არიან, და მაგას ვერ მოახერხებენო. ვისი იმედი აქვს მთავრობას? თუ ნაპოლეონ მესამის მაგალითს აჰევა ვლენობისა და ჯარის იმედი უნდა ჰქონდეს. ჯარი დაუჯერებს რასმეს მაკ-მაგონსა თუ არა ამისი ღმერთმა იცის. ვლენობის შესახებ კი ერთის ნემენცურის ვაზეთის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ბევრგან სოფლის ხალხი უფრო ალევებულია ვიდრე ქალაქის მუშებიო. ვლენები ამბობენო — „პატერების სამინისტროს“ ვაგონებსაც არ ვვინდაო“ და დარწმუნებულნი არიანო, რომ ეს სამინისტრო უთუოდ ეპისკოპოსების მანქანების საქმეაო. თუ მართლა ძალა დაატანა მაკ-მაგონმა და ჯარი იხმარა რესპუბლიკის

დასამსობლად, რაღა თქმა უნდა რომ საფრანგეთში რეკოლიუცია ასტუდება.

– 4 (16) თიბათვეს, როგორც მოგეხსენებათ, სელმეორედ უნდა შეერილიყვნენ ორივე ზალატი, რომელნიც მაკ-მაგონმა 4 მაისს ერთის თვის ვადით დაითხოვა. აი ამის შესახებ ზარიჟიდან რა ამბავი მოვიდა: „დღეს, ე. ი. 4 თიბათვეს, ორივე ზალატი შეიყარნენ ვერსალში. სენატში წაკითხულ იქმნა რესპუბლიკის ზრეზიდენტის ეპისტოლე, რომლითაც იგი სთხოვს სენატს დეპუტატთა ზალატის დაშლის ნებას. სენატი განსჯავს ამ წინადადებას ორშაბათს (ე. ი. 6 თიბათვეს). აქ ამ აზრისანი არიან, რომ სენატი მაკ-მაგონის თხოვნაზედ თანახმა განდებოა. დეპუტატთა ზალატში რესპუბლიკელებმა მთავრობას ზასუნი მოსთხოვეს თუ რა მიზეზით მოახდინა მაკ-მაგონმა ცვლილება. ამ სავნის შესახებ ცხარი ბასი ჯგონად არ გათავებულა. ეჭვი არ არის რომ დეპუტატთა ზალატი თავის სრულ სამდურავს და საევედურს გამოუცხადებს სამინისტროს.“ ვნახოთ ორშაბათის ტელეგრამმა რას მოიტანს.

იხალისა. – საფრანგეთის კლერკალების მოძრაობამ, რომელიც იტალიასაც ეწინააღმდეგება, დიდად ააღელვა ეს ქვეყანა და კლერკალების წინააღმდეგი მოძრაობა დაბადა. კოროლს, რასაკვირველია, ესამოვნა ეს მოძრაობა და თავისი სიამოვნება გამოუცხადა კიდევ ხალხს 23 მაისს, როდესაც იტალია დღესასწაულობდა თავის კონსტიტუციის ოცდაათ წლოვანობასა.

ამ დღეს სენატმა ადრესი წარუდგინა კოროლს ვიქტორ ემმანუელს, რომელმაც უზახუნა შემდეგი: „მადლობას მოგახსენებთ თქვენის წრფელის გულით აღიარებულის გრძობისათვის. დღეს ჩვენ სიამოვნებით ვიგონებთ განვლილ ოცდა ათ წელს, რომელთა განმავლობაში დამკვიდრდა ჩვენის სამშობლოს ერთობა..“

შემდეგ მიუბრუნდა დეპუტატებს და შემდეგი უთხრა: „ოცდაათის წლის თავდადებითა მსხვერპლმა და შეურყეველმა სასოებამ იტალიის დიდებისადმი აღმოძობა ჩვენის ძვირფასის სამშობლოს ერთობა და რომი იტალიის სატანტო ქალაქად განდა. წასრული მიდგა მე მომავალის თავდებად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის ქვეყნის წარმომადგენელი და თვით ერი ჩემკენ არის“. თუ დარწმუნებულია მამ რაღათ ლაზარაკობენ ვითომ შესაძლებელიაო, რომ სამინისტრო გამოიცვალოსო და ამისთვის კოროლი თურმე უფრო ზომის-მოყვარე კაცებთან საქმეს იჭერსო, რომ სამინისტრო ამათ ჩაბაბროსო. ნუ თუ ვიქტორ-ემმანუელს ზანისა ეშინიან?

ერთს ამბავს მოგახსენებთ. რომში ერთი სტუდენტი გარდიცვალა, მისმა ამხანაგებმა გააცილეს საფლავამდე. გაცილების დროს სელში სამ ფერიანი ბაირალი *) სჭერიათ. საუდართან რომ მივიდნენ და მღვდელმა დაინახა ეს ბაირალი, ეკლესიაში არ მუშავა. ამ შემთხვევის შესახებ დეპუტატთა ზალატში ერთმა რესპუბლიკელმა შინაგან საქმეთა მინისტრს ზასუნი მოსთხოვა რატომ მთავრობამ ეურადლება არ მიაქციაო ამ მღვდელსაო და არ დასაჯაო. მინისტრმა თავის განსაძრთლებლად მიუგო, რომ რადგანაც სენატმა უარ-ჰყოლო ამ გვარის დანაშაულის დასასჯელი კანონიო ამის გამოისობით მთავრობას ამ შემთხვევაში არა შეუძლიან რაო.

რაც უნდა იყოს იმ მღვდელის მოქმედება ცხარი უზატეურობაა აწმყო მმართველობისათვის.

– ზანს მაკ-მაგონისათვის ზიოს ჯვარი უხუქებია.

ინზლისი.– მას შემდეგ რაკი გლადსტონმა ჰსთქვა რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენკენ არისო, *) განავრძნო:

„დიდად ღირს შესანიშნავია და ჩემის ფიქრით უდიდესი სახელი და ზატეგია ჩვენის ხალხისათვის, რომ მან თავი გამოიღო არა თავისის ჯიბისათვის, თავისის ცოლ-შვილისათვის, თავისის საკუთარის ჩვეულებათათვის, არამედ იმ საქმისათვის, რომელიც შეეხება ზატეოსნებას, მშვიდობით მეოფელობას, ეოფა-ცხოვრებას რამდენიმე მილიონის კაცისას, რომელნიც ცხოვრებენ ჩვენზედ ძალიან შორს, ლაზარაკობენ სულ სხვა ენაზედ, აღიარებენ ზოგიერთში ჩვენს რჯულთან განსხვავებულს რჯულსა და რომელნიც ძლივ-ძლივ ცნობილნი არიან ახალ ისტორიაში (მოწონების ხმა). თუმცა ასეა, მაგრამ იმათმა ბედმა ისე მიიწიდა ინგლისელთა გული თითქო ისინი ჩვენი ძმები იყვნენ, ჩვენს მეხოზლად ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებნიო. ჩემდა საოცრად მე შევიტყე, რომ მათმა წვალებად და წამებად შესძრა გულნი ეოველგან დედამიწის ზურგზედ იმ ადგილებშიაც კი, რომელნიც ეველსაზედ უშორესნი და განაზირებულნი არიან.“

გლადსტონი ურჩევს მსმენელთა, რომ ესლანდელი ზარლამენტი უნდა დაიშალოსო, რადგანაც ახალს არჩევანში ხალხი ჩვენს მომხრეებს ამოირჩევსო. ამის შემდეგ გლადსტონი ჰკიცხავს მათ, ვინც ამ საქმეში წამ და უწუმ ინგლისის სარგებლობაზედ მიათითებს ხოლმე, როცა უნდა მთავრობის პოლიტიკა როგორმე განაძრთლოს ხალხის წინაშე.

„არაო, განავრძნობს გლადსტონი: საჭიროა აღიძრთოს კაცურის მოვალეობის დრომა, საჭიროა

*) სამ ფერიანი ბაირალი თავსუფლობის ნიშანია.
(*) ისილეთ № 14 „იკერიისა“.

წინააღმდეგე ადამიანის თან-შობილს დაჩვეულებრივს თვით-მოკვარებასა, საჭიროა ჩაეკონოს ეველას რომ არიან უმაღლესნი და სამარადისო კანონები, რომლის აღსრულებაც ეოველის კაცის მოვალეობაა.“

მერე გლადსტონს სიტყვა გადააქვს ისევ მთავრობაზე და ჰარლამენტზე და ამბობს, რომ ერთიც და მეორეც ისე იქცევიანო, რომ უსათუოდ ომში გაგვრევენო ტანჯულთა და წვალებულთა საოხად კი არაო, არამედ ოსმალეთის სამეფალთაო. შემდეგ ოსმალეთზე გადადის და ამბობს, რომ თუმცა ბევრი ოსმალეთის საქმის განწორების იმედს ჰქონდა, მაგრამ ოსმალთს საქმე წასულიაო. ჩვენი მთავრობა ხელს უშლიდა ევროპის ერთობასაო, მისმა პოლიტიკამ ბოლო მოუღო ევროპის თანხმობას და ამიტომაც ჩვენი მთავრობააო ქვეყნის წინაშე პასუხის-მგებელი მასში, რომ ესტა ამოდენა სისხლი იღვრებაო. ბოლოს გლადსტონი ამით ათავებს თავის საუბარსა:

„თუმცა ეოველიფერი, რაც გვინდოდა, ის არ აგვიხდა მაგრამ ცოტადენი რამ კი ვიმოქმედეთ და შევიძინეთ ჩვენ ხალხი ავადლევეთ და ავალანარაკეთ ამ საგანზე თუმცა ეს უწესოა, არა ჩვეულებრივია, მაგრამ საჭიროა მით უფრო რომ ჩვენს მოქმედებას ნათელი ადგა სიწმინდისა და გონიერებისა. ჩვენ ავადლევეთ ხალხი და ამით შევაყენეთ მთავრობის ბოროტ-მოქმედი მიდრეკილება და ძალაუნებურად ცოტათი მაინც სიკეთისაკენ მივმართეთ. სხვა არა იყოს რა, ის მაინც ვქმენით რომ ესტა მთელი ქვეყანა ეჭვშია მასზე თუ—ის ინგლისი, რომელიც ერთის წლის წინად ევროპას ელანარაკებოდა მართალი და ნამდვილი ინგლისი იყო თუ არა. იქნება ესტა ისეა, რომ ჩვენი მთავრობა, რომელიც ჩვენის სახელით ლანარაკობს, დევსაც ცბიერობს, სულმოკლეობს, ორბირობს; რომ იქნება აღთქმას რასმეს სდებს იქ, საიღამაც არა რაიმე სიკეთე არ გამოვა და გაჭირების დროს კი ისევ უკუდგება და უარ-ჰყოფს მას, რაც მანამდე უქმნია. ხოლო ჩვენ კი იმოდენა შეძლება გვაქვს ეველას ურამდე მივანწვივინოთ, რომ თუმცა მთავრობას კონსტიტუციის ძალით ხელთ უპირია უფლება, მაგრამ იგი კანონიერი და ნამდვილი წარმომადგენელი არ არის ეოველის ჩვენის აზრისა და სურვილისა, (მოწონების ხმა). ჩვენ ვაჩვენებთ ქვეყანას, რომ დიდებული გული ინგლისისა ისევ ისე ჰსმგერს როგორც ეოველთვის ჰსმგერდა უწინაც; რომ ეოველი მისი გულითადი სასოება, ეოველივე მისი მედგარი წადილი იქით არის მიზიდული, საითკენაც თავისუფლება, სიმართლე და მშვიდობის-მოფუგელობა.“ (ხმა მაღლა მოწონების ხმა და ხანგრძლივი ტაშისცემა.)

წმრილი ამბები. ამას წინად იაკობ ბრაიტს ლონდონის ჰარლამენტში წინადადება შეუტანია, რომ არჩევანის უფლება ქალებსაც მიენიჭოსო. ამ საგანზე დალიან საინტერესო ბასი გამოთვლა, რომელსაც შემდეგ ნომერში ვაცნობებთ მკითხველსა.

ამ წინადადების წინააღმდეგ მხოლოდ ისა თქმულა, რომ ჯერ დრო არ არისო ქალებისათვის არჩევანის უფლების მინიჭებისაო. მამ სხვაფერი თანახმა ეოვილან ე. ი, თვითონ დედა-აზრი ამ წინადადებისა მიუღიათ.

— ოსმალეთის მთავრობას, რასაკვირველია, არ მოსწონებია რომ რუმინიამ თვისი უმოკიდებულობა გამოაცხადა. ამის გამო ოსმალეთმა სამდურავი წარადგინა ეველასახელმწიფოთა წინაშე. ამ სამდურავში ოსმალეთის მთხრობა ამბობს, რომ რუმინიამ რაც უნდა ქნასო და თქვასო, ხონთქრის მთავრობა მაინც არ დასთმობს თავის უფლებას და ისე მოექცევა რუმინის როგორც ოსმალეთის სარგებლობას შეეფერებაო. ჩვენ წინა აღუდგებით რუმინის მოქმედებასაო, რომელიც ევროპის ტრაკტატების დარღვევააო და ეს მოქმედება როგორც ოსმალეთის შეურაცხ-ყოფაა, აგრეთვე იმ სახელმწიფოთაცა, რომელთაც ჰარბის ტრაკტატზე ხლი უწერიათო.

— კრიტის (კანდიის) კუნძულის წარმომადგენელთა შემდეგი თხოვნა წარუდგენიათ ოსმალეთის მთავრობის წინაშე: 1) კრიტის კუნძული, როგორც თვით უფლების მქონე ქვეყანა, არ ექვემდებარება ოსმალეთის კონსტიტუციას; 2) კუნძულის არსებითი კანონები ხონთქრის ცალკე ბრძანებით უნდა იყვნენ დამტკიცებულნი; 3) ეს ხონთქრის ბრძანება შემოწმებული უნდა იყოს სტამბოლის ჰარლამენტის მიერ და 4) კუნძულის კანონების ცვლილებანი მომავალში თვითონ კრიტელების ნებაზე უნდა იქმნას მივდებული.

ოსმალეთის მთავრობას ეველას თხოვნა უარ-უვეია და უბრძანებია რომ კრიტელებმა სუთი ქრისტიანი და სუთი მაჰმადიანი მოციქული გამოგზავნონო სტამბოლში მოსალანარაკებლად.

— იმ წერილთ, რომელიც რუსეთმა ინგლისს გაუგზავნა გრაფ შუვალოვის ხელით, რუსეთს სურვებია დაარწმუნოს ინგლისი, რომ რუსეთი არ შეეხება მის სარგებლობას ინდოეთში; რომ იგი არავითარ დაბრკოლებას არ მისცემს ხომალდების თავისუფლად ტარებას სუეცის არხზე; რომ რაც შეეხება ბოლოფორსა და დარდანელსა, ეს საგანი მთელის ევროპის საქმეა და რუსეთს არა აქვს განსწრაფვა ეს საქმე მარტო თვითონ გადაწვიტოსო. ამ წიგნის შესახებ ბერლინის ოფიციალური გაზეთი ამბობს რომ ამას იქით შეიძლება დარწმუნებული ვიყოთო,

რომ ომი მხოლოდ რუსეთისა და ოსმალეთის შორის გათავადებაო და სხვას არ გადაეღებო.

– ეგვიპტის ჯარი მშვიდობით მისულა სტამბოლში, და აქედამ საომარს ველზედ ისტუმრებენ.

– ხოთქარი ადრიანოპოლში აწირობს წასვლასაო სიმაგრეების გასაშინჯავად.

– ერთის ნემენცის გაზეთის კორესპონდენტი რუმინიის მთავართან ეოფილა და ლაზარაკი ჰქონია. მთავარს უთქვამს თურმე: „ჩვენ იმაზედ უკეთესს რაღას მოვიწოდებთ, რომ ევროპამ რუმინია თავისუფალ სახელმწიფოდ სცნოს. მაშინ დუნაიის მდინარე სრულებით თავისუფალი განდება, სამხედრო ხომალდებს აღარ შეეძლებათ მასზედ სიარული და დუნაიის ციხე-სიმაგრენი აღარ იქნებიან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექმნება გერმანიისა და ავსტრიისათვის. ავსტრია რომ მტკიცედ დაადგეს ამ ჩვენს მოთხოვნებს, სხვა სახელმწიფოთა უსათუოდ აუსრულებდნენ მის სურვილს.“ რუსეთისა და ავსტრიის შესახებ მთავარს შემდეგი უთქვამს: „ავსტრია დიდის სიამოვნებით გვიმართავდა ხელს. სწორედ რომ სთქვას კაცმა, ავსტრიას ძალიან მოუხდება რუმინის უმოკიდებულება. რუმინია ერთის მხრით გზას მდებარებს დუნაიასე ავსტრიისა და რუსეთის შორის, მეორეს მხრით არის სიმაგრე, რომელიც აბრკოლებს ჩრდილოდ მეოფს მეზობელსა (ე. ი. რუსეთს) და სლავიანებს. ჩვენ, რასაკვირველია, რუსეთის მადლობელი ვართ, რადგანაც შემწეობა მოგვცა სლავიანების განთავისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენ გვინდა ამ მხრითაც თავისუფალნი ვიქნეთ. თუძნა ჩვენ რუსებს როგორც მეგობრებს დაუხვდით, მაგრამ ჩვენ ვნდობით იმათგანაც დავიცვათ ჩვენი უმოკიდებულება და ამასაც ვიტყვით, რომ ჩვენი მოხელენი ისე მოიქცნენ, როგორც მათი უფლების დინება მოითხოვდა.“

– ერთი გაზეთი ამბობს, რომ როგორც ეტეობაო რუსეთისა და ავსტრიის მეცადინეობამ თავისი გაიტანაო და სერბია ომის ატენას აღარ აწირობსო. მთავარი მილანი დაჰპირებია თურმე ავსტრიას ომში არ გავერევიო, მხოლოდ ომის გათავების შემდეგ კი რუსეთმა და ავსტრიამ ჩვენი სარგებლობაც უნდა იქონიონ მხედველობაშიო.

– საფრანგეთის სენატს ჯერ არავითარი გარდაწვევებილება არ მიუღია ორშაბათის სხდომაში ჰალატის დაშლის შესახებ. ამ საქმის გადაწვევტა ოთხშაბათისათვის გადადგიათ. ძალიან ცხარე ბაასი გამართულა თურმე, სამინისტრო გაუკიცხავთ, რომ კლერკალობას აჭეოლიათ.

ეტროპოლოგიური განხილვა ძველთა და ახლთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.*

(შემდეგი).

—

II კაპადოკია შავის ზღვის ზირისა განიყოფებოდა ორ თემად; ზირველი თემი შეადგენდა ზონტოს სამეფოს, მეორე კოლხიდას.

ა. ზონტოს სამეფო იყო ადგილი წელიანი, ტეიანი, მდიდარი ნაუოფებითა და მადნებითა. დანაუღეთის სამხლერის ზირზედ მოუდიოდა მდინარე ჰალიზისა ან ალაზონისა (აწ კიხილ ერმაკი), ძალიან ვრცელი და დიდი, რომელსაც სათავე ჰქონდა მახლობელ ნიკოპოლის ქალაქისა. გემის მთებში, ჰრწეაუდა სრულიად კაპადოკიასა და ერთვიდა შავს ზღვაში მახლობელ ბაფირის ქალაქისა. მდინარე ესე ღირსია შესანიშნავად, მისთვის რომ ძველს დროში განჰყოფდა მცირის აზიის მკვიდრთა მოსახლეთა ორად: მარცხენა ნაწილი ეჭირა ხალხთა, რომელნიც ნათესავობით ეკუთვნოდნენ ბერძენთა, გარნა მარჯვენა ერთა, რომელნიც ნათესავობით იყვნენ აზიის ხალხნი ე. ი. ჭანელები (1). სხვანი მდინარენი ზღვის კაპადოკიისა არიან: ირისე ან ირისე (აწ ემილიერმაკი), რომლისაც ერთსა ტოტს სახელად ჰქვიან ტემაში და მეორესა ლიკუს (ძველი); გემრეელი წყალი (ქარტაზედ გარეწილად ჰწერია გერმეელი ჩაი); თერმადონი (აწ თერმეს წყალი); ფსინრონი (აწ კოლოპოტამო), რომელიც ერთვის ზღვასა მახლობელ რიზა ქალაქისა. სამხრეთი მხარე ზონტოსი იყო მთებიანი და ხეუბიანი: ბალხარის მთები, რომელნიც მდებარებენ ზონტოსა და საქართველოს სამხლვარზედ, აწ გურჯი ბოლახი ან საქართველოს ველი; ამ მთებს შეუდგებიან მთები ნაჭილობევისა, ან, ძველთა მწერალთა, სციდის მთები; ერთი ნაწილი ნაჭილობევის მთებისა იწოდებიან გეაურად და გომიშად (კამბეჩოვანად); გომიშის მთები მდიდარია ვერცხლის მადნებითა. ზღვის ზირზედ მდებარებდნენ მრავალნი ქალაქნი მდიდარნი ვაჭრობითა და სიმდიდრითა: ამიზუსი (აწ სამსუსი); თემისცირა (აწ თერმე); უნია (აწ ონის ქალაქი); კოტიორო (აწ ორდუ); ფარნაკი (აწ კერასუსი); ტრაპეზონი, ღიზა (აწ სურმენა); ოფიზი, რიზე, ატენი; ხმელსედ: ამასია, მდებარე ირისეს მდინარეზედ, სამშობლო ადგილი სტრაბონისა; გაზიურა, ძველი დედა-ქალაქი ზღვის კაპადოკიისა, მდებარებდა თერმადონის მდინარის ნაწილზედ; ელმანა, ზელა, სატალა (სათალი) და სხვანი.

*) „ივერია“ № 14.

(1) გიგეის სენაპტენი. პტოლე აზია II ტომი, 386 ტვ.

მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ ჰონტოს სამეფოს ზღვის ნაპირებზედ, მილეტის ქალაქის მოსახლეთა და დააფუძნეს სავაჭრო ქალაქები, რომელთაგანაც უპირველესი იყო სინოპი, ამიზუსი, კოტიორა, ტრანპუსუნტი და ჰქონდათ აქ ალებ მიცემა და სარგოიანი ვაჭრობა მესობელთა ხალხთათანა. სხენებულთ ქალაქებსა ჰქონდათ თავიანთი მმართველობა და არ ემონებოდენ სპარსთა მეფეთა; მაშინ როდესაც ჰონტოსა და კოლხიდის მოსახლენი იუვენ და მონებული სპარსთაგან, შეადგენდნენ ორს სსსპსაჰეტოს (სატრანპიას) XVIII და XIX (1) და სპარსთა მეფისა ქსერქსის დროს მიიღებდნენ მონაწილეობას ბრძოლაში ჰირის ჰირ ბერძენთა და განიყოფებოდნენ ოთხ გუნდად: ჰირველსა გუნდსა, მთავრობასა ქვეშე არიობარზანისა დარბოს მეფის ძისა, შეადგენდნენ ერთი მესხნი და ტიბარენნი: მეორესა, მთავრობასა ქვეშე არტაკისა, მოსენაკნი; მესამესა მთავრობასა ქვეშე არტაკისა, მოსენაკნი; მესამესა მთავრობასა ქვეშე ფარანდატისა, მარნი და კოლხელნი და მეოთხესა, მთავრობასა ქვეშე მისისტისა,— ალაროდიანელნი და ისპირელნი. (2) ამითი ჰხანს რომ ჰონტოს სამეფოში და კოლხიდაში იუვენ რამთონნიმე მთავარნი და ქსენოფონტის დროს რომელიმე მთავარი იწოდებოდნენ მეფედა ვითარ ცა მთავარი მოსინაკთა. ვალაიანი თავის ჰონტოს ისტორიაში მოუთხრობს, რომელ ჰირველი მეფე ჰონტოსა იყო არტაბაზი, დადგინებული დარბოს სპარსთა მეფისაგან ამისი მემკვიდრე 402 წლის ქრისტეს წინათ იხილება მიტრიდატ I, რომელიც განაგებდა სამეფოსა დროსა სპარსთა მეფის არტაქსერსისა, ამისი შვილი მიტრიდატი II სახელ წოდებულ აღმაშენებლად იყო თანა მედროვე ალექსანდრე მაკედონიელისა; მიტრიდატ II-ის შვილმა მიტრიდატმა III გაიმარჯვა ლისიმახაზედ, რომელიც იყო მაკედონიის მეფე 384 წელსა და დასდო გამრჯვების წელიწადი დასაბამად წელთა აღრიცხვისა ანუ ერად (3) რომელიც იყო მიღებული როგორც ბოსფორის სამეფოში ისე კალხიდაში და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად რომ აქედამ იწუებიან ჩვენი ქრონიკონებიცა, რადგანაც იმ დროს მთელი კოლხიდა დამონებული იყო ჰონტოს მეფეთგან და ჰქონდათ ერთმანერთში დიდი ერთობა. აქამომდე სწავლულთა და სიძველის გამომამიებულთა არ იცოდნენ სწორეთ, რომლის წლიდამ იწუებოდა ერა ან დასაბამი წელთა აღრიცხვისა ჰონტოს სამეფოში.

(1) ლეროლტის ისტ. წიგნი 3, § 90.
 (2) ლეროლტის წიგნი 7 § 76, 77, 78, 80.
 (3) ნახეთ საზოგადო ბიოგრაფიის ლექსიკონი (52 ტომად გამოტეული პარიჟში 1811-1852) სტატია სენპარტენისა მიტრიდატ III.

ზოგი ჰსცდება 8, ზოგი, 10 ზოგი 12 წლითა. მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღვრიცხე მაშინ აღმოჩნდა, რომ დასაბამი ჩვენი და ჰონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინათ. ვინ არიცის რომ ჩვენს ქრონიკონსა როგორც რომ ეკლესიისკინელოსსა აქეს საქცევი 532 წელიწადი. ეს რიცხვი შესდგება განმრავლებისაგან 28X19; რიცხვი 28 შეადგენს წელთა მზის მოქცევისათა და 19—მთოვარისათა 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, დიდ მარხვის ალების დღე, ზასექის დღე და შემდგომნი ცვლადნი დღესასწაულნი, კვირაცხოვლობა, ამაღლება და სხვანი ანგარიშნი თვითოეულის წლისა, იმავე შვიდეულს დღეს, თთვის რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორც რომ 532 წლის წინათ იყო მაგალითად ჩვენი ხუთასეული ქრონიკონი დასრულდა 1844 წელსა, ასე რომ 1845 წლიდამ იწუო ახალმან ხუთასეულმან ქრონიკონმან. 1844 წელსა ზასქა იყო აპრილის 15. ამწლიდამ რომ გამოხვიდეთ 532 წელი დარჩება 1312 წელიწადი, ამ წელიწადს ზასქა იყო აგრეთვე 15 აპრილსა. ქრონიკონი ან დიდი ინდიკტიონი შემოიღო მღვდელმონაზონმა დიონისიმ 516 წელსა ქრისტეს შემდგომ მოსაზოვნელად თუ რომელს თვესა და რომელს რიცხვში დადგება ზასქა. ამ ქამადმდე ე. ი. 516 წლამდინ ამ გუარი აღრიცხვა არსად იყო და რა საკვირველია არც საქართველოში იქნებოდა; საქართველოში, როგორცა ჰხანს, აღრიცხვა უწევით 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ. მაშასადამე ხუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780 და ახალი დამდგარა 781 წელსა. 780 წელს რომ დავრთოთ 284 წელი, მაშინ შეიქმს 1064 წელსა ან ორს სრულს ქრონიკონსა. თუცა 781 წელს შემოულიათ ქრონიკონი, გარნა რიცხვი წელთა დასაბამისა დაუდვით ჰონტოს ერა ანუ დასაბამი წელთა აღრიცხვისა, რომელსაც, როგორც ჰხანს ზემო გამორიცხვისაგან, ჰქონია დასაბამი 284 წელსა ქრისტეს წინათ ისტორიაც ეთანხმება ამას. 1844 შესრულდა ხუთასიანი ქრონიკონი და 1845 იწუო ახალმა ქრონიკონმა. ამ 1844 რომ დაუმატოთ 284 წელი შეიქნება 2128 წელი. 2128 წელი რომ გავჰყოთ 532, დაშთება კერძობითი რიცხვი უნაკულოდ 4; ეს ამას ნიშნავს რომ ოთხჯერ ხუთასეული ქრონიკონი შესრულდა 1844 წელსა და 1845 წელს იწუო მესუთე ხუთასეულმა ქრონიკონმა.

183 წელსა ქრისტეს წინათ ფარნაკ ჰონტოს მეფემან დაიწერა სინოპი და სხვანი ქალაქები ჰონტოს ზღვის ჰირისა; ამ ქალაქების დაპრობითა ჰონტოს სამეფომ მოიწოვა დიდი ძალი და ძლიერება როგორც ხმელეთზედ ისე ზღვაში და შეძლება ჰირის

ზირ ბრძოლისა რომაელებთან. თუმცა მიტრიდატი VI ექმნა თანა შემწე რომაელთა ბრძოლათა ზირის ზირ დანიბაღისა და გარჯისათვის ჯილდოდ მიიღო დიდი ნაწილი ფრიგიისა, გარნა შვილი მისი მიტრიდატი VII იყო დაუძინებელი მტერი რომაელთა და ებრძოდა მათ დიდხანს. 123 წელსა ქრისტეს შემდგომ მიტრიდატი VII აღვიდა ტახტზედ, ერმა თორმეტის წლისა, ბუნებით ახოვანი, ბრვე და შემძრთებელი, თავი დაუდო სწავლასა და განათლებასა, ამას გარდა სიერმითვე შეითვისა საომარი ზნე და ჩვეულება, ჰქონდა საკვირველი მესხიერება, იცოდა 22 ენა, გულში ჰქონდა თავის მამულის განდიდება და ამისათვის არა ჰრიდებდა არცა თავსა, არცა წარსინებულთა მოყვარეთა. წინაწირველად განიზრახა მოხილვა მოსამწევრეთა ადგილთა და სამეფოთა, ამისთვის შეუდგა გზასა, ორის მანლობის კაცითა, სრულიად უცნაურად, დაჰყო მოვზაურობაში ოთხიოდ წელიწადი, თვალთ განიხილა გამდგომარეობა მცირის აზიისა. შინ რომ დაბრუნდა მაშინვე მოაგროვა ძალი, შევიდა კოლხიდაში, დაიპყრა აწინდელი აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სრულიად ბოსფორის სამეფო, ე. ი. ეირიმი, შემდგომად აღძრა შუთი კანადოკიაში, მოაკვლევინა მუნებური მეფე და მის ადგილს დასვა თავისი შვილი არიარატ VIII. ეს იყო მიზეზი ზირველის ბრძოლისა რომაელთათანა. მიტრიდატმა მოირთო დიდი ძალი, როგორც ხმელეთისა ისე ზღვისა, დაიმონია სრულიად მცირე აზია და წაართო რომაელთა თრაკია და ატენი. რა ესმა რესპუბლიკას განძლიერება მიტრიდატისა, მაშინვე მოაგროვა დიდი ძალი, უჩინა მხედართ მთავრად სილლად და გაისტუმრა დიდის მიტრიდატის საბრძოლველად. სილლამ მანლობელ ხერონისა დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრა საბერძნეთი და გადაიტანა ომი მცირეს აზიაში, დაიმონია იონია, მიზია და ლიდია. უღონო ქმნილმან დიდმან მიტრიდატმან ითხოვა ზავი და 85 წლის ქრისტეს წინათ შეეკრა ზირობითა რომის რესპუბლიკას. ამდროს მიტრიდატს განუდგნენ ბოსფორელნი; მიტრიდატმა იწყო მზადება და მოკრეფა ჯარისა ბოსფორის დასამონებლად, რომაელთა ჰგონეს რომელ მიტრიდატი ემზადება ბრძოლის განახლებისათვის მათზედ, ამისთვის უბძანეს მერენას უცებ მისვლა საომრად მიტრიდატზედ. მიტრიდატმა ორჯელ დაამარცხა მერენა 82 წელსა ქრისტეს წინათ და შეეკრა რომაელთა ახალის ზავითა. 79 წელსა კვლად დაიმონია ბოსფორის

სამეფო, სადაც დასვა მეფედ თავისი შვილი მანარა (ქართული სახელი). ხმელეთის კანადოკია კვლად ექმნა მიზეზი მესამის ომისა შორის მიტრიდატისა და რომის რესპუბლიკისა. ზირველს ჟამს მიტრიდატმა დაიმონია ზაფლავონია, ვიფინია და მოადგა ქალაქსა ქიზიუს, მდებარესა მარმარილოს ზღვის ნაპირს. ამ ქალაქის მანლობლად ლუკულმა, მხედართ მძღვანმა რომაელთა, დაამარცხა ზონტოს მეფე, რომელიც განივლტო სომხითს, იქაც დაამარცხდა ზომპისაგან და დანარჩენის ძალითა შეივლტო კოლხიდას, იქიდან გადავიდა ბოსფორსა, ე. ი. ეირიმსა, სადაც მოიხება ჯარის მოკრეფა და განახლება ომისა რომაელთა თანა. მისმა შვილმა შუიტეო ეს აზრი მოიბირნა მხედართ მთავარნი და წინააღმდეგა მამას. მიტრიდატმა რა ჰცნო შვილის დღაღტი, თავი მოიწამლა და გადაცვალა 64 წელსა ქრისტეს უწინ. გვამი მისი შვილმა გაუგზავნა ზომპის, რომელმან დიდის ზატევით მიაბარა მიწას ტაძარსა სინთის ქალაქში, სადაც ივენენ დამარხულნი წინაპარნი მიტრიდატისა.

დროს მეფობისა რომის იმპერატორისა ნერონისა ზონტოს სამეფო შეიქმნა რომის თემად და ვიდრე 1204 წლამდინ ქრისტეს შემდგომ იყო მონებას ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. სხენებულს წელიწადს თამარ მეფის მეწვენით ალექსი კომუნინმა დაიპყრა ტრანპესუნია და იწოდა იმპერატორად ტრანპესუნისა; სივლებში ტრანპესუნდის იმპერატორნი მრავალჯერ იწოდებიან მპერობელად ივერთა და ჭანთა. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდინ; ამ წელიწადს ოსმალთა დაიპყრეს ეს იმპერია და ჰქმნეს საფაშოდ (1).

ბ. კოლხიდა მდებარებდა აღმოსავლეთის და სამხრეთის შავის ზღვის ზირზედ; ასე რომ ძველ დროში მთელი ზონტოს სამეფო იყო ცნობილი სახელსა ქვეშე კოლხიდა (2), სტრატონის დროს კოლხიდა ეწოდებოდა იმ ადგილებს, რომელნიც იწებოდნენ ფსინრონის მდინარის (აწ კოლთატამო) შესართავიდან, ზღვაში ვიდრე ოლდირის მდინარის შესართავამდე სადაც მდებარებდა ჩინებული ალემბიცემის ქალაქი დიოსკურია (აწ იზგაური (3)). კოლხიდა გარემოცული

(1) უწევბა ტრანპესუნის იმპერის დაარსების სტატია აკადემიის კუნსიის დაბეჭდული უწევბათა შიხის ს. ბ. ბ. სამეცნიერო აკადემიისა, 1855, 733.

(2) ქსენოფონტი IV და V წიგნი.

(3) სტრატონის წიგნი XI თავი I; ჰლინი წიგნი VI; აბიენის აღწერა შავი ზღვის ნაპირებისა გამოცემული გოფმანისაგან ლათინურად, ტკედი 55.

იყო კავკასიის მთებითა (ქართულად ღადო), რომლისაც ერთი მომავალი სამხრეთისაკენ კალთა (ლიხის მთები) გაჰყოფს იმერეთსა და ქართლსა. ერთი კალთა ამ მთისა მივა მტკვრის ზირამდინ და იცნობება ძველთაგან მოსხის მთად ე. ი. სამცხის მთად ან აჭარისა (აწ სოღანლუხის მთები და კარგაბაზარი); მეორე კალთა მტკვრიდამ ზირს შეუქცევს ზღვასა და იწოდებიან ფერსათის მთად; რომელიც გაჰყოფს იმერეთსა და გურიას სამცხისაგან; სხვა კალთა ამ მთებისა, რომელიც შეუდგებიან მტკვარსა, ისახელებოდნენ ძველთა მწერალთაგან კორაიის მთად (აწ ციხე ჯვარი); კორაიის მთებს ზონტოს მხარესკენ შეუდგებიან სციდიის მთები და მისუკან ნაჭილობევი.

ამ მთების წიაღში ჰქონდათ მრავალთ მდინარეთა დასაბამი, რომელთაგან ღირსია შისანიძნავად:

ა. ფაზის მდინარე (აწინდელი რიონი), ჰქონდა სათავე, როგორც გვაუწყებს ზლინი, მოსხის მთებში (1), სათავიდან ვიდრე შორაზანამდინ იყო ნავით უვალი, და შორაზანიდამ ზღვადმდე ნავით სავლელი. ამ მდინარესედ ნავით მიჰქონდათ და მოჰქონდათ სავაჭროები ვიდრე შორაზანამდე, შორაზანიდამ მტკვრადმდე ხმელის გზით, და მასუკან მტკვრით კასპიის ზღვადმე, საიდანაც გაჰქონდათ ინდოეთში და ჩინეთში. როგორც ამ აღწერისაგან ჰსჩანს, მდინარეს ევირილას რაცნამდნენ რიონად და რიონსა ევირილას შესართავადმდე გლაუკად. ფაზისს შეუდიოდნენ მდინარენი: ღიპიუს (ცხენის წყალი), ციანა (ტეხურა):

ბ. აბსარა ზლინისა, აკამშისი არიენისა და ბოასზროკაზისა (აწინდელი ჭოროხი.) თუმიცა ზროკაზამ ბოას მდინარის სათავე სწორედ აღწერა, გარნა მდინარის სავალი არის დაუჯერებელი და უგვანი. აირას გვაუწყებს ზროკაზი; „ბოას აქეს სათავე ჭანეთის მთებში, მარჯვნივ აქეს სამზღვარი ივერიისა, სადაც სრულდება კავკასის მთა. ამ მდინარეს ერთვიან მრავალნი სხვა მდინარენი, დიდდება და მიიღებს ფაზიის სახელსა; ორსავე მხარესა ჰსცხოვრებენ ღაზები და მდებარებს ქალაქი შორაზანი (2). ფაზის

მდინარე მოუდიოდა ღაზისტანსა და არა ივერიას, ბოასის მარჯვნივი ნაპირი, როგორც ესლაცა ჰჩანს, ეჭირათ მესხთა, და ამ მდინარესედ არ იდო ქალაქი შორაზნისა; ეს რასაკვირველია არის ცთომილება გადამწერისა და არა ზროკაზისა, ამისთვის რომ იმავე წიგნში და თავში განასხვავებს ორსავე მდინარესა, და მოუთხრობს რომ ღაზებმა მოიყვანეს სპარსთა მეფე ხოსრო სომხითთ კერძო, განვლეს ბოასის მდინარე, და რა მიანლოდნენ ჰეტრეს ციხესა (აწ ქაჯთა ციხე ქობულეთში), ჰქონდათ ფაზის მდინარე მარჯვნივ. მაშასადამე ბოას და ფაზის მდინარენი ივენენ სხვა და სხვა. აგრეთვე მეორეს ადგილში ზროკაზი ამტკიცებს რომელ ფაზის მდინარე სხვა იყო და ბოას მდინარე სხვა: „ამასობაში მერმერო იმ გაიარა სამზღვარი ივერიისა (ე. ი. სურამი) და ჰქონდა ფაზის მდინარე მარჯვნივ მხარეს“. (1) დიად, ქართლიდამ რომ შეხვიდე იმერეთში სურამის გზით მისასვლელად ჰეტრეს ციხედ, მარჯვნივ დაგრჩება ევირილა (ძველთა მწერალთა ფაზისი). ამითი ჰჩანს რომ ზირველი ჩვენება, როგორც ვჰსთქვით, გადამწერისაგან არის არეული შეცნდომა და არ ზროკაზისა, როგორც ამტკიცებენ ორნი უკანასკნელნი ჩვენებანი. (2) ზროკაზის ზირველმა უწყებამ შეიყვანა რომელიმე სწავლულნი ცთომილებასში, მაგალ., ზირველი დუბოა, რომელიც გვარწმუნებს, რომ ზროკაზის ბოასი არის ხანის წყალი. თუ ეს ასე იყოს, მაშინ ბოასს არ ექნება სათავე ჭანეთის მთებში და არცა ამ მდინარეს მარჯვნივ მხარეს იქნებოდნენ მოსახლენი ივერიელნი როგორც გვარწმუნებს ზროკაზი, არამედ ღაზები: მეორე უფ. ემინი (3), რომელიც გვიმტკიცებს რომელ ფაზისი არის ჭოროხი და არა რიონი და უდის სომხითს ადგილებს. აქ სომხითი არც ეოფილა როგორცა ჰჩანს მთელის მწერლებისაგან და არც აწ არის. ეს ადგილები ეჭირათ და ესლაც უჭირავთ გათათრებულს ქართველებს ანუ მესხთა და ოსმალნი უწოდებენ გურჯისტანად. ამ ადგილს ე.ი. სადაც ჭოროხი მოუდის ეწოდებოდა კლარჯეთი და კლარჯეთი მოსეს ხორენაცის ღეოღრაფიით იყო ივერია და

(1) ბლინი წიგნი VI თავი 4. სტრაბონი XI § 2 სტრაბონი პსწერს რომელ ფაზისს სათავე აქვს სომხითში. ეს უსაბუთოა, როგორცა გჰხედავთ აწ ადგილების ძეგბარობას.
 (2) სტრიბონის მატეანე ხალხთა გ. 4 ტე. 45; პროკოპი ნათარგმნი რუსულად ტე. 288 (წიგნი 2, თავი 29).

(1) პროკოპი წიგნი 2, თავი 30.
 (2) არიენი თავის აღწერაში განასხვავებს ამ ორთა ძეგბარეთ, ატრეთვე ბლინი და სხვანი ძველნი მწერალნი.
 (3) მოსეს სორენაცის ისტორია რუსულად ნათარგმნი, ტეკლდი 344.

არა სომხითი (1). ამასვედ ამის დაბლა კიდევ ვიტყვი ერთს ორს სიტყვას, აქ კმარა ამასვედ ლაპარაკი. უფემინი დაუმატებს წინა თქმულსა რომ ქსენოფონტი მოიხსენებსო ფაზის მდინარეს, რომელიცა ჰრწეამს სომხითსაო (2). ქსენოფონტი მოიხსენებს არა ფაზის მდინარეს, არამედ ფაზსა. ფაზისისის მდინარე სხვა არის და ფაზისა სხვა. არეზის სათავეს უწინ და ახლაც უწოდებენ ფაზად ადგილის გამო ფაზიანი ან ბასიანი. კიპარტეს ქარტაყედ ახლაც ჰჩანს ფაზის სუ (ე.ი. ფაზის მდინარე), ეგ არეზია, რომელსაც სათავე აქვს ბასიანის ქვეყანაში.

მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის უკან იმპერატორმა ადრიენმა დანიშნა მმართველად ზონტოსთემისა არიენი, ამან აღწერა ეს ზღვის ნაპირები და მოუთხრობს (3) რომელ კოლხიდა იწუების ღიზის მდინარეს შესართავიდან მხლდაში, ამდინარის მარჯვნივ ნაპირებისა ჰსცხოვრებენ მასელონები და გენიოსები, რომელთაც ზღინი სახელ ჰსდებს ჰანად გენიოსად, ამათა ჰვეანდათ მეფე ანხილაუსი (4); სცილაქს უწოდებს ამ ადგილს კეხეირად (ქართველების ეკლესია და სომხების ეკლესია); ამის შემდგომ მდებარებდა ზღვის ზირსედ ზუდრეთი (აწ ქობულეთი, აჭარა, იმერეთი, შავსეთი და კლარჯეთი), ეკუთვნოდა ივერთა მეფეს ფარსმანს (5); ზუდრეთის შემდგომი იყო ლახიკა (ე.ი. აწინდელი გურია. აქ მეფობდა მელასი);

ამის უკან იყო ახსილი (აწინდელი სამეგრელო). აქ მეფობდა იულიანოსი: ამას მოსდევდა აბაზგია (აფხაზეთი), მეფეთ იყო რესმაგი, და დასასრულსანიკარი (ჯიქეთი), სადაც მეფობდა სზადავას; მიექვსე საუკუნეში როგორცა ჰსწერს სომეხთ ისტორიკოსი მოსე ხორენაცი თავის ქვეყნების აღწერაში კოლხიდა განიყოფებოდა ოთხ თებად: მაზნევიდი, აკრიუგა, გაზივი და ჰანივი ან სასტიკი.

(1) მოსე სოჩენატის აღოღრაფია სენ-მარტენი 2. ტ გვერდი 357. სომხებს კლარჯეთი გესარად გუიკეთობათ. საქართველოს ამავე აღოღრაფიით ეკუთვნოდა; არტანის, შავსეთი ჯავახეთი, სპიტხე, აჭარა და სხუანი, რომელნიც შეადგენენ, ჭოროხის მხარეს და არა სომხითსა.

(2) წიგნი 4, თავი 6.
 (3) გვერდი 55 გოფმანისაგან გამოტეკული.
 (4) ეს ადგილი აწ არის ლახისტანი.

(5) ფარსმან III იყო თანა მკდროვე რომის იმპერატორის ადრიანისა, იყო რომის ქალაქში, მიიღო დადი ბატონო სსენებულის იმპერატორისაგან და საჩუქრად ებოძა 500 ალჭურელი მხედარი კაცი და მისთა ნება მსხვერპლის შეწირვისა საკაპიტოლიაში. იმპერატორმა აღუძარა ბელონის ტაძარში ცხენოსანი ანდამა. ნახე ბიოგრაფიულს ლქსიკონში სტაფია სენ მარტენისა; მიტრდატ III.

უფალი სენ მარტენი (ტ.2, გვერდი 388, მენიშნულობა 65), გვაუწევებს რომელ მაზნევიდი არის ზტოლომეას მანრალი ან აწინდელი სამეგრელო: აკრიუგა არის ეგრეკტიკა ზომხონის მელასი (წიგნი 1, თავი 191) და ზტოლომეისა (წიგნი 5, თავი 10). აკრიუგა უფრო არგვეთია, აწინდელი იმერეთი, ვიდრედა ეგრეკტიკა. ეგრეკტიკა არის სცილაქსის ეკახიერი (აწ ლახისტანი); გაზივი (ლახისტანი, ე. ი. გურია და ნაწილი იმერეთისა); ჰანივი ან ხაღდეა (აწ ჰანეთი, ზონტოს სამეფო).

მეფეს დროში კოლხიდა შეადგენდა საქართველოს მხარესა განიყოფებოდა, როგორც ჰსწერს ვახუშტი 5 საერისთაოდ: გურისი (სამეგრელო), მარგვეთი ან არგვეთი (იმერეთი), წუნდა და არტანისი (აწ სამცხე); ოძრხე (გურია); კლარჯეთი (აწ სპერი ან ისპირის ხეობა და ტაო). ზირველს საუკუნეში ქრისტეს შობის უწინ კოლხიდა ემორჩილებოდა ზონტოს მეფეთა და შემდგომ ზონტოს სამეფოს დაცემისა იყო აქ სამი დაუმოკიდებული ერთმან ერთისა სამთავრო: ლახისტანი, სამცხე და ჰანეთი. მეორე საუკუნეში ლახებმა დაიპყრეს იმერეთი, სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც მეხუთე საუკუნეში, იქმნა შორის ვიზანტიელთა და სზარსთა მიხეჯი ბრძოლისა 472 წლიდან ვიდრე 562 წლამდინ (1). სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, რომელთაც მოსწავს ლახის მეფობა, დამონიეს იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და მასუკან ქართლი და კახეთი; ჰანეთი იყო თემი ზირველად რომისა და შემდგომ ვიზანტიის იმპერიისა ვიდრე 1202 წლამდე; ამ წელსა ალექსი კომნენმა შეწევნითა თამარ მეფისა დაიპყრა ტრანკსონი და იწოდა მეფედ ივერთა და ჰანთა; ამისი შემკვიდრენი ჰფლობდნენ ტრანპიზონში, ვიდრე დაპყრობადმდე ოსმბლთა 1461 წლამდინ.

დ. ჩუბინოვი

(შეძლევი აქნება)

ო ს მ ა ლ ო ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ა ჭ ა რ ა

აჭარა, როგორც წინათ მოხსენებული იყო, მდებარებს ეხლანდელ სამძღვარსე ახალციხის და გურისის უესდებისა და სდევს აჭარის და ახალციხის მთებს იქით სამხრეთ მხარეს, ამ მთისაგან არსიანის მთის ქედი დაეშვება. ამ ორის მთისა მრავალი წვრილი ქედები ტოტებივით იფინება მთელ ქვედა და ზედა აჭარაში და მრავალ ხეობებათა ჰყოფს ამ მშვენიერ მხარეს საქართველოსას, რომელშიაც

(1) მატიანე სტრეტიკისა ქოთხე ტომი ლახიკა.

მომდინარეობს წვრილი მთის წყლები კაღმასხებით
სავსე. ზედა-აჭარაში უმთავრესი ხეობანი ხუთნი
არიან: ხულისა, გორჯომისა, ბეღლეთისა, სხალტისა,
მირეთისა და ჭვანისა. ამ უკანასკნელ ხეობას გარდა
დანარჩენებსე არსიანის მთის ტოტები ჩამოსდევს.

თვითვეული ხეობა კარგა საკმაოთ ანიერია, სახნავ-
სათესად და სამოვრად კარგის მინდვრებით შემკულია,
ყოველმხრივად მთის წყლები ჩამოხუნხუნებს და ერთვის
შუა ხეობის წყალსა. უძალღეს მთებზე არსიანის მიშველ
ადგილსა ვხედავთ, და რაკი დადაბლდება იმოსება
მდიდარის წიფლის, თელის, მუხის ტეთი. ხეხილი
აქ ეველა ხარობს, ხეთის ხილი კი ცოტად მოდის
აქა-იქა დაბლობ ადგილებში. ვაშლი და მსხალი ისე
ბლამათ მოდის, რომ გააქეთ ახალციხეს, ოხურჯეთს,
არტანს და თითქმის ალექსანდროპოლიმაც. ვენანი
ხშირია და ასე გაშინჯეთ ამ რამდენიმე წლის წინათ
ახალციხელები იქ მიდიოდნენ თურმე, ღვინოსა
სწურავდნენ და გადმოჰქონდათ. მკათათვეში, როდესაც
ბალი არსად არ მოიპოვება თქვენ შეგიძლიათ გურიამი
ნავომარზე იარმუკობას (ქალაქობას) იმოვნოთ.

მიწა მომცემი მიწაა: მომატებულათ მოჰყავთ
სიმიდი და ცოტათ ხორბალი და ქერი. რადგანაც
სიმიდმა უფრო მოსავალი მეტი იცის და რადგანაც
სახნავ-სათესი ადგილი ნაკლებია, ამისგამო
ხორბალს და ქერს ნაკლებათა სთესენ. წინა წლებში
თამბაქო მოჰყავდათ, მაგრამ ბოლოს დროს რადგანაც
აქციზი შემოვიდა, თითქმის აღარა სთესენ.

საქონელს ძალიან ბევრს ინახვენ ზედა აჭარაში,
მეტადრე სოფლებში: ბაკოს, ხიხობირს, ზემო
და ქვემო თხილვანს, გორჯომს და ნავორვეს.
სამწვლარზე ნდებარე სოფლებიდან დიდძალი კარაქი
და ერბო გადმოაქვთ ჩვენს გურიამი და ამით კარგი
სარგებლობა აქვთ. არტანისკენ ვაჭრობა კი ვერ
ეხერხებათ რადგანაც ქურთები დგანან და ბევრი
საქონელი ჰყავთ. მაინც კი აჭარაში იმოდენა საქონელს
ინახვენ, რომ მარტო ზედა აჭარაში საქონლიდან
ას სამოცი თუმანი შემოსავალი აქვს ოსმალს
მთავრობასა. საქონელს გარდა ეოველ მოსახლ ეს
ათიოდე ცხვარი და თხა ჰყავს და თითო ცხენი.

ეს ღამაში კუთხე საქართველოს საკმაო
გამდიდრებოდა, ცოტაოდენი რივიანი გზები რომ
ჰქონოდა, მაგრამ გზები ისეთი საძაველი აქვს, რომ
მარტო ცხენი თუ ივლის, თურმე ურმის ხსენება არ
არის. მძარტებლობა ამაზე არა ფიქრობს, წყლებზე
თუ სადმე ხილია, ისიც ძველის-ძველად ამენებულია,
საქართველოს მეფეების დროინდელია. ამის გამო
ვაჭრობა და მისვლა-მოსვლა მხელდება. ამისათვის
სავაჭრო დუქნები აქა-იქა ძალიან ცოტაა და
ადგილობრივი მცხოვრები მედუქნე ვერ შეგხვდებათ,

ან სომეხია, ან ბერძენი ან ოსმალა, აქაც ქართული
ანდაზა მართლდება, სომეხი დუქანზე და ქართველი
გუთანზეო.

მთელი მოსახლეობა აჭარისი ქართველობაა. აი
რას ამბობს მოგზაური დამწერი ფრიად შესანიშნავის
და მვირფასის წიგნისა „სამი თვე ოსმალის
საქართველოში“, რომლიდანაც ჩვენ ვკრებთ ცნობასა.
„სოფელ გორჯომს რომ დავეშვით შორიდან ნახირი
დავიხანეთ; ამასთან მოჩანდა ხალხი—ვატარა ბიჭები.
იმათი წივილი და ჟღავილ-ჟღუვილი მოგვესმოდა.
აჭარლები ზირველათა ვნახე და ფუიქრობდი, ნუ თუ
ერთმანერთს თათრულათ ელაზარაკებიან? ნუ თუ
საქართველოს არსება აჭარაში გაქარწულდა? ბოლოს
ახლოს მივედი და.... დმერთო და ბედო! თურმე ჩვენი
ეოფილა, ჩვენი! ბაღლები ქართულათ ივინებოდნენ.“
ჩვენ მკითხველებს აჭარული ლექსები წავაკითხეთ და
ნახავდნენ რომ დღევანდლამდე სახალხო არამც თუ
ლაზარაკი, ლექსებიც კი დარჩა. მაგრამ განავრცოთ
მოგზაურის სიტყვა: „ჩვენი მისვლა რომ დაინახეს
ემაწვილები დახუდნენ და ეს ვატარა მთიულები
გზაზე შეიუარნენ ჩვენ საუერებლათა. ჩვენ დავდევით.
თხუთმეტოდე ემაწვილი ბიჭები იდგნენ და რამდენიმე
უფრო ჰბაბუკი. მაგრამ უნდა შეხედოთ რა მშვენიერის
სახისანი არიან. მონძები რომ გახადოთ, გვეონებათ
დიდ-კაცის დარბაზში გახდილები ივენეო, ისეთი
თეთრ-წითელნი და ღამაზნი არიან. ჩვენ მთიულებსა
გვანან და თანაც გურულების სახის იერი მოსდევთ...
ვინც კი შეგვხდა სულ ტანადნი, მხარბეჭიანი და
თვალადნი ივენენ. სუფთა გადაწმენილი სახე, ცოტა
მოდიდო ცხვირი და შავარდნის შეხედულობა, გრძელი
და ხშირი თმა ებაღას შემოხვეული—ესე ეოველი
წარმოვიდგენთ აჭარლის სურათსა.... ტანისამოსი
გურული აცვიათ. სარწმუნოებით მაჰმადიანები
არიან, შინ ოჯახობაში ქართულათა ღამაზაკობენ,
თათრული (ოსმალური) ენა ხანში შესულმა კაცებმა
იციან. დედაკაცებმა და ემაწვილებმა ცოტათ იციან.
ამ თხუტმედოიდ წლის წინათ არა ეოფილა ასე
გავრცელებული თათრული ენა რომ დედაკაცებს
ცოტაოდნათ მაინც სცოდნოდათ, და საკვირველია
ასე ძალე თათრულმა ენამ როგორ გაიდგა ფეხები
აჭარაში“.

ამ ფრიად სამწუნარო მენიშნამ ძალიან უნდა
დავავიქროს და ქართველობის მოუვარის მხრით
მრომას ითხოვს.

მეჩითებთან შეკლები აქვთ, რომელშიაც მარტო
არაბულ კითხვას ასწავლიან, და არაფერი კი არა
ესმისთ რა. ქართული წიგნის მკითხველი თან და
თან კლებულობს და ამგვართა ხალხი უწივროთა
არის. ხალხი თუმცა მოხურნეა სწავლისა, ოსმალს

მმართველობა რიგიან სასწავლებელს არა მართავს, რომ სწავლა ქალბატონებს ენაზე იყოს და მარტო მაჰმადიანთ სამართალ წიგნების საკითხველად მოღვაწეობს არაბულის ასოების ჩათვლასა სწავლიან; ეს გარემოება ისეთ ნაკლებულეულებათ არის საგრძნობი, რომ როგორც ნამდვილ სანდო კაცებისგან გაგვიგონია, მოღვაწეები კი საჭიროებასა გრძნობენ ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და როდესაც კი შემთხვევა მისცემით საქართველოში გადმოხვლისა ან თავიანთი ქართულის წიგნის მცოდნე უნახავთ, მაშინათვე წერა-კითხვა უსწავლიათ. აქ მხოლოდ სახარების სიტყვას ვიტყვი: „რომელთა აქვს უური სმენად, ისმინენ.“ ღმერთს მადლობა უნდა შევიწროთ, რომ მოღვაწეები, რომელნიც თვით აჭარლები არიან, შორს არ იჭერენ ქართულ ენასა და ზირიქით სურვილი ჰქონიათ.

ამას გარდა ზოგიერთ ბეგებსაც შვილებისათვის ჩვენი ქართველი მასწავლებლები უნდათ, მაგრამ იქ მიმსვლელი ისეთი არავინ არა ჩნდება, რომ თავისი დამჯდარის ხასიათით ნდობა ჰქონდეს.

ხეობით აჭარლები მხნე არიან. თოფის სროლა და იარაღი უუვართ და ძველი თავადის შვილების (ბეგების) მომხრენი და მოწილნი არიან. ჩვენში აჭარლებს ცუდი ხმა აქვთ გავარდნილი და იტყვიან კაცის თავი ხანჯის თავით მიანიათო, ქურდები და ავაზაკები არიანო. ქვედა-აჭარაში და ქობულეთში რამდენიმე სოფელი მართალია ქურდობით გათქმულია, მაგრამ მთლად აჭარაზე კი ამისი თქმა ცილის წამებაა. ზედა აჭარაში ქურდობა და ცარცვა იშვიათია.

შინაურობაში აჭარელი ისეთივე მთიულია, როგორც არაგვზე და თერგზე. მოხიციებულის ჰატივისცემა, სტუმარ-მოყვარება, თავის დაჭერა, ცნობის მოყვარება და ამასთანავე დიდი შრომის მოყვარება აჭარლის ზირველი თვისებაა. მთელი დღე კაცი მინდორში შეუწყვეტელათ მუშაობს, დედა-კაცი ოჯახში. ემაწვილი რა კი მოხიტდება, მაშინვე მწვემსად გადის. ტყეში ვდება და მარტობა რასაკვირველია ცუდათა მოქმედებს ემაწვილის ხასიათზე და ამიტომ აჭარელი გარეშე კაცთან უცხოობს. ველურსა ჰგავს. მაგრამ ეს უნიჭობათ კი არ უნდა ჩავთვალოთ. ჩვენს ხვესურს ისინი ჰგვანან რამდენსაც ეუცხოება ეველაფერი.

აჭარლებს კარგათ ახსოვთ რომ ჩვენნი ძმანი არიან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებით. ძველი შენობების, ციხების და ეკლესიების ჰატივისცემა აქვთ და იციან, რომ საქართველოს მეფეების ამენებულია. ზოგიერთის საუდრის ჰატივისცემა ისეთი აქვთ, რომ ხელის ხლება დიდ ცოდვად მიანიათ და სასწავლებლსაც ლაზარაკობენ. ორს ხოჯას სხალტის ეკლესია, (რომელიც უკეთესია თავისის შენობით დამხატვრობით სეპეზედ მთელ აჭარაში)

უნდოდანთ მეჩითათ გადაექციაო. საუდარმა ორივე ჭკუაზე შეძალა და ტყეში მხეცებივით ატარაო. ერთმა მეცხვარემ წამთარში ცხვარი ამავე საუდარში შერეკაო, ხატი გაწერა, ორასი სული ცხვარი დაუხოცა და თითონ მწვემს კისერი მოუგრინაო. ამისთანებს ლაზარაკობენ აჭარლები.

ხირსათის ციხეზე აჭარლები ამბობენ თამარ მეფის ამენებულიაო ამ ციხიდან თამარმა წარწმამდის გვირბი გააკეთებინა და დადიოდა ხოლმეო, რადგანაც ლანგთემური გზაში ჩაუდგა და დაჭერა უნდოდანო. ერთის ბერისაგან შეიტყო ლანგთემურმა ეს ამბავიო, წარწმას წავიდა და თამარ მეფეს გამოხვალაზე უდარაჯაო. დადგა შაფათი, დედოფალი ცისკარზე მივიდა წარწმასა. ამ დროს ლანგთემური ჯარით შემოერთდაო. თამარ მეფემ რომ სხვა ვეღარა მოაგვარა რა, საწამლავი დალია და თავი მოიკლაო.

ამ გვარი ხალხის თქმულობა გვანჯერებს აჭარლების დანსომებას წარსულის ცხოვრებისას და ჰატივისცემას.

სამართალი აჭარაში მარტივი და უბრალოა. სოფლის სასამართლო ანუ მეჯლისი იმ გვარივეა, როგორც ჩვენი სოფლის სასამართლოები. მოხელენი ამოირჩევიან ხალხისაგან და ამას გარდა ეადიცა, სოფლის მოლა. მერე ამასვე უფროსი სასამართლო აღვილი არის მუდირი (უხასტკის ნახალნიკი) და იმისი მეჯლისი; კაიმაკამი (უფრდის ნახალნიკი) მეჯლისით. მაგრამ ამასთანავე ბეგებთან სმირად მოდიან საჩივრებად და ესენი სამართალს ამღვევენ. შემოხსენებული მგ ხავრი მოიხსენებს ერთს ამბავს.

გზაზე შარით-ბეგი ხიშიამევილს დახვდა ხალხი, თითო თითოდ მოდიოდნენ კალთასა ჰკონიდან, მერე მოკითხვის შემდეგ ბეგმა გამოჰკითხა ამბავი. ერთმა მოხუცებულმა იჩივლა, რომ ქალი შინიდან გაიქცა ამა და ამ ოჯახიდან საქმროსას და შინ აღარ ბრუნდება. დედ-მამას იმ კაცის სიძეობა არა სურთო. ეს ამბავი ძალიან ეუცხოვრათ იქ მოუფთა. ამ ლაზარაკის დროს მოვიდა ქალის მიჯნურის ძამა და ბეგს მოახსენა, რომ ეოველივე მართალია. ჩემს სახლშია ქალიო და აი აკერ აქ მოვიდაო. ბეგს ახვერა ხადრში შეხვეული ემაწვილი ქალი, რომელიც ჯაგებში იმალებოდა და ვერ გაებდნა ბეგთან მოსულიყო, თუმცა კი ამ ახრით იდგა. აღმოსხნდა რომ, თურმე ქალის ძმა ეოფილა წინააღმდეგი. ბეგმა დაამხებინა ძმა და უთხრა, რომ დას ნუ აუბედურებ, უნდა ეგ ემაწვილი და მიეციო. სიტყვა გამოართვა, ქალის ძმამ კალთას აკოცა და სასიძოს ძამას გადაეხვია. ეს შემთხვევა რა არ ეოფილიყო, იქნება სისხლი დაღვრილიყო.

ამ გვართ ბევრჯელ საქმეები თავდება.

პ. უ.

ქალაქის სცენებთაზანი

ხათაბალა

ახლაც იტყვიტ სიზმარი ტყუილია, არ ახდებოა. აჰა თუ არა ხდება, მარა ჯანაბაა, მე რო-თავს ხათაბალა გადამეკიდა! ბატონო, სიზმარი ვნახე, დამდგომია ერთი წვერიანი ცხინვალელი ურია დასწყევლა ჩემმა წმინდა გიორგიმ! გადმოუშლია ბოხჩა და სულ სპეტაკ-სპეტაკს პერანგებსა და პერანგის ამხანაგებს წინ მიყრის და მიყრის: ეე ჩემო ბატონოვო! ვიცი ორი პერანგის მეტი არა გაქვსო, მიირთვი ჩემო ბატონოვი; თუ შენვე ამეებს სულ დარეცხამო, სულ მუქათათ მოგართმევო. აბა მაიტა მეთქი. დავიწყე რეცხა. მოაქვს ამ ურიას უთვალავი და მოაქვს. ვდგევარ და ვრეცხავ ერთის ყოფითა და თანა ვფიქრობ, ერა ხათაბალა გადმეკიდა მეთქი. იმდენი ვრეცხე, იმდენი ვრეცხე სანამ გამელვიძებოდა. არ დაიჯერებთ, დილაზე ისეთი მოქანცული ავდექი, თითქოს მართლა სარეცხი დამერეცხოსო, სულ მკლავები მტკიოდა.—აი დაგწყევლა ღმერთმა მეთქი! ვინ კაცი და ვინ სარეცხი! მაგრამ ეს ეშმაკური სიზმარი, ნეტა ვიცოდე, როგორ ამიხდება მეთქი? დედაკაცებმა მითხრეს, ხათაბალა რამ გადაგეკიდებოა, ზიანსა ნახავ და ან დაჰკარავავ რასმეო. ძან ჯავრი მამივიდა და გულში დამრჩა ი შეჩვენებული ურია.

შემოდგომაზე ქალაქში ჩავედი. წინათ რაც მოსავალი მქონდა ჩემ ბიძაშვილს ვატანდი გასაყიდათ და ეშმაკათ რა ე მაშინა გააკეთეს, თუთხმეტჯერ დავაპირე. ბოლოს დაუდევ ლობიო, ფქვილი და გავწიე, ჩავიტანე ქალაქში. მედა ჩემი ღმერთმა, რივიან ფასათ გავყიდე. ახლა მინდოდა ქალაქი დამევილო და მენახა. მამაჩემი რომ აზნაურობას იმტკიცებდა, ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი და თანა ვყავდი, ქალაქი სიზმარივით მახსომდა. ჩავიარე თათრის მეიდანზე საპონის საყიდლათა; მივადექ ერთ დუქანსა, მიდის ხალხი და მოდის ამ დუქანში: აი ხათაბალას გაუმარჯოს, აბა ხათაბალ, ეს ამიწონე, ხათაბალამ მამატყუაო, იძახის ეს ხალხი. რას მიჰქარავს ეს ყურუმსალი ხალხი? მე ხო არ დამცინის ახალ მოსულ კაცსა მეთქი? მაგრამ ისე გაყუჩებული ვარ და არ შევისადარე, აგება ხმა ჩაწყვიტონ მეთქი. შენც არ მამიკვდე! რაკი დუქანთან კაცი

მოვა, მაშინვე ხათაბალას იძახის. მამაგონდა ის შეჩვენებული ურია და ყელში სისხლი მამაწვა. დაიძახა კიდევ ვილაცამხათაბალაო. მოუბრუნდი: შენ ვის უბედამ, რომ ხათაბალას იძახი მეთქი? საყულოში ხელი ჩავავლე: აბე ერთი კიდევა თქვი მეთქი!—გიჟი ხარო?... მე შენ გიყს მოგცემ მეთქი; აზნაურშვილი გახლავარ, შე მურდალო მეთქი. დაგვეხვია თავს ხალხი, გამაშველეს... თურმე ნუ იტყვიტ, იმ დუქნის პატრონის სახელი არა ყოფილა! დალახვრა ღმერთმა თქვენი თავი მეთქი, მოვდივარ და ვფიქრობ ე რა ხათაბალაში ჩავარდი მეთქი! გავიარე პატარა, ვხედამ, კედელს ერთი ვეებაერთელა ქალაღდი აკრავს და ზედ ასეთი ვეება ერთელა ასოები სწერია, რომ თითო ასო მოკრივე კალატოზიშვილის მუშტების ოდენა იქნება. წავიკითხე: და აი დასწყევლა ღმერთმა, ხათაბალა არ ეწერა! ეს უთოოთ ქალაქური მამაძაღლობა იქნება მეთქი, ქვეშაც წვრილათ ეწერა; ვიფიქრე, შაირებს დაუწერდნენ ვისმე მეთქი... გავიარე პატარა, კიდევ ისე ვეება ქალაღლზე ხათაბალა სწერია. ახლა კიდევ ავიარე და კიდევ ისე. ერთი სიტყვიტ საცა კი გავიარე, სულ ასე დამხვდა. ვიფიქრე მოდი წავიკითხო მეთქი. წავიკითხე და „სომხური მოქმედება წარმოდგებოა.“ მაგას რალა ფიქრი უნდა მეთქი, სომხებთან თუ საქმეს დაიჭერ, ხათაბალა წარმოდგება მეთქი. ახლა კიდევ წავიკითხე: ერთკენ სომხები სწერიან და ერთკენ სუ თავადიშვილები და აზნაურები, ჩვენნი ქართლის აზნაურებიც დაეწერათ. აქ ერთი დიდი ამბავი უნდა იყოს მეთქი. ის სომხები ფულის პატრონები იქნებიან და უთოოთ ქართველებისთვის უსესხებით. კიდევ ამიტომ ისე პირდაპირ დაუწერიათ სომხები და ქართველები. აი თუ მართლა ხათაბალაში ჩავარდნილან მეთქი. მაინც გული არ დავაჯერე, რავიცი ქალაქში ოინები ბევრი იციან და ერთ ხათაბალაში მეც არ ჩავარდე მეთქი, ის წყუელი ურია მამაგონდა კიდევ.—ერთი შკოლის ყმაწვილი დგას და კითხულობს. ვკითხე, რა სწერია, მეთქი. ქართული თრიატრი იქნებოა. ახლა მითომ რა იქნება მეთქი? თამამშოვის ქარვასლაში რო თამაშობდნენ, არა ყოფილხარო?—აი რო დამწვარა, მეთქი? ჰო იქაო. თავი მოვარიდე, ხათაბალიანი ადგილი ყოფილა, წავიდე ჩემ გზაზედა მეთქი. თურმე თამამშოვის ქარვასლის საქმის თაობაზე ყოფილა ის

ქალადი. ამოვიარე ზემო დუქნებისკენ, გარეთ ჩამოკიდებული ჩექმები ვნახე და ერთი ძალიან მამეწონა, ყელები სულ ასე ბწყინამდა რო თითქო სარკე იყოსო და სულ ფერადი ძაფის ყვავილებია ნაკერი. შევევაჭრე, მივეცი თუმან ნახევარი. მემრის მაინც ქორწილს ვაპირობ მეთქი და მეორეთ ქალაქში იქნება აღარც კი ჩამოვიდე, ბარემ ვიყიდი მეთქი.—წავედი შინ ჩავიცვი სანდლის ფერი კაბა, ეს ახალი ჩექმები, შალვარი შიგ ჩავიკეცი, ყელზე ახალი ბაღდადი, ქუდი ჩავიტყე, როგორც აზნაურშივლს ეკადრება და წავეღ ბაღში. ერთ სკამზე ჩამოვჯექ და უყურებ ამვლელ—ჩამვლელსა. რა მიღეთის ხალხი გინდა, რომ იქ არ დადიოდეს. ამ ხალხში ორმა ქალაქის ბიჭმა გაიარა ერხელ; პატარა ხანს უკან გამოიარეს მეორეთ და სუ ჩექმებში მიყურებენ. ფეხი ფეხზე გადავიდე და ვფიქრობ, თავის უქუსლო ყელიან ფაფუჭაბთან ვერ მოეწონათ მეთქი! ძალიან ცხარეთა ლაპარაკობენ. ბოლოს მოვიდნენ ჩემთან. რაგინდათ შვილოსა მეთქი? ერთმა დაიწყო:

— კნიაზო, ერთი ოცდა ხუთი მანეთი უნდა მომაგებინო, შენი ჭირიმე. ეს ბიჭი ახირებულა ამ კნიაზს ფეხზე ექვსი თითი აქვს. მე ვეუბნები: რას მიჭქარამ კნიაზი კაცია, ექვსი თითი რათ ექნება მეთქი. ეს გაჩინიანებულა და ახლა სანაძლეო დაგვიდია: ამან ოცდა ხუთი მანეთი ამოიღო და მე ხუთი მანეთი.

რას მიჭქარამთ, თავიღამ მამშორდით, რაებსა ლაპარაკობთ, ქვეყანა აქ დადის, ბეაბრუთ გინდათ გამხადოთ მეთქი.

— არა, კნიაზჯან, ხელდახელ ოცდა ხუთ მანეთიანი უნდა მამაგებინოთ და თუ მოვიგე სადილათაც ქეიფს გაგაწევინებთო. თუ უკაცრავათ არ ვიქნებით, ერთი ფეხი გაგვაშინჯვინეთო.

რა ხათაბალა გადამეკიდეთ მეთქი! აჰა, ჯანაბას, გამხადეთ მეთქი. გაუშვირე ფეხი და გამხადეს.

— აჰა, რომ ვეუბნები, კნიაზი კაცი ბძანდება

მეთქი, ექვსი თითი არ ექნება! აი კნიაზის ჭირიმე რომ ოცდა ხუთი მანეთი მომაგებინა.

მეორე უარზე დადგა: არაო, მე ხო ეგ ფეხი არა ვთქვი, მეორე ვთქვიო.—დამეკარგენით რას ჩამაცივდით მეთქი, გიჟები ყოფილხართ, თუ საქმე არა გაქვთ? ამოიღო ი ბიჭმა ოცდა ხუთი მანეთიანი და ამხანაგს ეუბნება.

— აჰა, ამამილია და მამიციან, თუ მეორე ფეხზე ექვსი თითი არა ჰქონდესო.

დამელრიჯა მეორე, გეთაყვა კნიაზო, ბედსა მწიე შენ სადღეგრძელოთაო.—გაუშვირე მეორე ფეხიცა. გამხადა იმ ოცდა ხუთი მანეთის მძლეველმა და ორივე ჩექმა ხელში უჭირავს. გაშინჯეს ორივემ.

— ახლა ხომ მოგიგე, ახლაც უარზე ხარო?

— არ გაძლევო, მეორემ უთხრა. ახლა ასე ხელ და ხელ ოცდა ხუთ მანეთიანი ოხრობაა, დამტყუოვო.

გამართეს ერთმანერთის ლანძღვა. ერთი ვითომ არ უშვებს, მაიტა ჩემი მოგებაო. მეორე ეწევა და თავი უნდა მოაშოროს. მე სეირს უყურებ, ვნახო ერთი რა გამოვა მეთქი. დაებლაუჯნენ ერთმანერთსა, ოც და ხუთი მანეთის მძლეველს იღლიაში ჩემი ჩექმები ეჭირა, ხელიღამ გაუსხლტა და გაექცა; მეორეც ყვირილით უკან გამოუდგა, დაიჭით, დაიჭითო. ჩაირბინეს ქვემოთკენ და ველარა ვნახე. რო წამოვდექი, ფიქრზე მაშინ მოველ: ვაი შენ ჩემო თავო, იმ ყურუმსალებს თურმე ჩემ ჩექმებზე არა ჰქონდათ ეს ამბავი მეთქი! ორ ხათაბალას გადურჩი და მესამეზე კი ამისთანა ოინი მომივიდა. ახლა იტყვიოთ სიზმარი ტყუილიაო.

1877 წ. თიბათვის 3-სა

ანჩისხატის უბნელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Юнiя 1877 г. Типографiя Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი ნუგზარ ჭიანჭავაძე
 სარედაქციო № 300: ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნიჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი
 პრექტი: ივანიანი – ნანუსი ლაზარაძე – მომავლის მანქანა
 პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
 გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს
 გამომცემელი შპს „საგაომცემლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174
 მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com